გაზეთი ზიურის, „ვერსიის“ ერთი

# ვერსია

ფასი 60 თეთრი

№96 (1122) 30 სექტემბერი – 1 ოქტომბერი, 2015 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

## სკოლებში საგანგებო შტაბები იქმნება



გვ. 7

როგორ უზრუნველყოფს მოსწავლეთა უსაფთხოებას და რა სიახლეებით შეხვდა ახალ სასწავლო წელს მანდატურის სამსახური

## გიორგი პაპუაშვილმა 2007-2015 წლებში, ხელფასის სახით, მილიონ ლარამდე აიღო



საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარისა და მოადგილეების სახელფასო და სამივლინებო ხარჯებს აუდიტის სამსახური შეისწავლის?

გვ. 2

## მსოფლიო ბანკის ანგარიშში საქართველოს ყველა მაჩვენებელი ისტორიულად მაღალი, გაუმჯობესების ტემპი კი ერთ-ერთი ყველაზე სწრაფია მსოფლიოში

გვ. 5

## დაპირისპირება ფქვილის ბაზარზე

რატომ გაძვირდა 1 ტომარა ფქვილი საქართველოში და რაში ადანაშაულებს „წისქვილკომბინატების ასოციაცია“ საქართველოს პარლამენტს

გვ. 6



## ჩეჩნების „პადელნიკი“ სახელად მატი

გახმაურებული საქმის უცნობი დეტალები



გვ. 8

## ქართველი თაღლითების მსხვერპლი ნინა ჭანტურია-რიტერი სამართალს ეძებს

გვ. 9

10 თვეა სასამართლოში საქმის განხილვა ჭიანურდება



გვ. 3

## „სააკაშვილი მუდმივად ავანტიურაზე მიდიოდა, ამ ხელისუფლებას ამის თავიც არ აქვს“

როგორ უნდა გაუმკლავდეს „რუსულ საფრთხეებს“ საქართველო და რა გაუმხილა „ვერსიას“ მამუკა არეშიძემ

# გიორგი პაპუაშვილმა 2007-2015 წლებში, ხელფასის სახით, მილიონ ლარამდე აიღო

## საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარისა და მოადგილეების სახელფასო და სამივლინებო ხარჯებს აუდიტის სამსახური შეისწავლის?

ნინო კომახიძე
599-95-33-16

**არასამთავრობო ორგანიზაციამ „ახალგაზრდა ადვოკატები“ მედიისთვის საინტერესო ინფორმაცია დააანონსა. რამდენიმეთვიანი კვლევების საფუძველზე, მათ განაცხადეს, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მსოფლიოში ყველაზე ძვირი მართლმსაჯულების ორგანოა და ამ თემაზე 30 სექტემბერს ბრიფინგის ჩატარებაც გადაწყვიტეს. საკონსტიტუციო სასამართლოს გარშემო მიმდინარე პოლიტიკურ-სამართლებრივი ციებ-ცხელების გამო, ბუნებრივია, ამ თემით ჩვენც დავინტერესდით და „ახალგაზრდა იურისტებს“ დავუკავშირდით. მათ „ვერსიას“ ექსკლუზიური ინფორმაცია მიაწოდეს საკონსტიტუციო სასამართლოს ხარჯვითი ნაწილის შესახებ და კვლევის შედეგებიც გაგვაცნეს. ამ არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ მოპოვებული რიცხვები კი მართლაც შთამბეჭდავია.**



„ახალგაზრდა ადვოკატების“ ხელმძღვანელის, **არჩილ კაიკაციშვილის** თქმით, ორგანიზაციამ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის, მისი მოადგილეებისა და მოსამართლეების ყოველთვიური შრომითი ანაზღაურება შეისწავლა. ვინაიდან სასამართლო ბათუმში 2007 წლის ივნისიდან საქმიანობს, მონიტორინგიც სწორედ 2007 წლის 1 ივლისიდან 2015 წლის 1 ივნისამდე პერიოდს მოიცავს. ორგანიზაციის ინტერესის საგანი, ხელფასების გარდა, მოსამართლეთა სამივლინებო ხარჯებისა და პრემიების შესახებ ინფორმაციაც გახდა. კვლევის შედეგებით,

**საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ, გიორგი პაპუაშვილმა, 2015 წლის იანვარ-ივნისში, თანამდებობრივი სარგოს, პრემიისა და დანამატის სახით, 56 925 ათასი ლარი მიიღო, 2014 წელს — 134 820 ლარი, 2013 წელს — 204 675 ლარი, 2012 წელს — 102 850 ლარი, 2011 წელს — 98 025 ლარი, 2010 წელს — 95 700 ლარი, 2009 წელს — 97 015 ლარი, 2008 წელს — 95 610 ლარი, ხოლო 2007 წელს — 40 500 ლარი. არანაკლებ შთამბეჭდავია პაპუაშვილის სამივლინებო ხარჯებიც: 2015 წლის იანვარ-ივნისში — 18 249 ათასი ლარი, 2014 წელს — 69 607 ლარი, 2013 წელს — 32 500 ლარი, 2012 წელს — 47 682 ლარი, 2011 წელს — 44 007 ლარი, 2010 წელს — 35 538 ლარი, 2009 წელს — 50 118 ლარი, 2008 წელს — 52 073 ლარი, ხოლო 2007 წელს — 10 927 ლარი. ჯამში, 2007-2015 წლებში, პაპუაშვილმა 926 120 ლარი მიიღო, მისმა სამივლინებო თანხამ კი 360 706 ლარი შეადგინა.**

თანაც, „ახალგაზრდა ადვოკატების“ მტკიცებით, საკონსტიტუციომ სასამართლოსგან მათ ვერ მიიღეს კონკრეტული პასუხი კითხვაზე, პაპუაშვილის რომელი მივლინებების დროს დახარჯა ამხელა თანხა სახელმწიფომ. თუმცა, როგორც კვლევის შედეგებიდან ჩანს, პაპუაშვილის მოადგილეებისა და სასამართლოს მდივან-მოსამართლეების შრომაც საკმაოდ კარგადაა დაფასებულ-ანაზღაურებული.

**პაპუაშვილის მოადგილის, კონსტანტინე ვარძელაშვილის შრომა, 2007 წლის 1 ივლისიდან 2015 წლის 1 ივნისამდე, ჯამში, 679 620 ლარად შეფასდა. მისი სამივლინებო ხარჯი კი, ჯამში, 82 824 ლარი აღმოჩნდა. პაპუაშვილის კიდევ ერთმა მოადგილემ, ზაზა თავაძემ 2010-2015 წლებში, თანამდებობრივი სარგოს, პრემიისა და დანამატის სახით, ჯამში, 483 013 ლარი მიიღო. მისი მივლინებები კი ბიუჯეტს 18 867 ლარი დაუჯდა. რაც შეეხება საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებს, მათი შემოსავლები, 2007-2015 წლის პირველი ნახევრისთვის, 50 000-დან 95 000 ლარამდე მერყეობს.**

ერთი სიტყვით, ჩვენი ქვეყნის არცთუ სახარბიელო სოციალური ვითარებიდან და ზოგადი ფონიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებულ ყველაზე მდიდარ საჯარო უწყებად შეიძლება ჩაითვალოს. მის თავმჯდომარეზე მაღალი შრომითი ანაზღაურება კი მხოლოდ ქვეყნის პრეზიდენტს ჰქონია. „ვერსიამ“ რამდენიმე კითხვა „ახალგაზრდა ადვოკატების“ ხელმძღვანელს, **არჩილ კაიკაციშვილსაც** დაუსვა:

— **რამდენი ხანია, რაც საკონსტიტუციო სასამართლოს თემაზე მუშაობთ და მაინცდამაინც ამ უწყების ხარჯებით რატომ დაინტერესდით?**

— ამ ინფორმაციის გამოთხოვნა 2015 წლის მარტში დავიწყეთ. საერთო სასამართლოებთან შედარებით, საკონსტიტუციო სასამართლო ყველაზე „მხარჯველი“ ორგანო აღმოჩნდა. ჩვენი ინტერესი იმანაც გამოიწვია, რომ უკვე მრავალი თვეა, ვმუშაობთ გიორგი პაპუაშვილის სადავო ქონების თემაზეც. მაშინ, როცა პაპუაშვილი ექსპრეზიდენტ სააკაშვილის მიერ, 2007 წელს, სიმბოლურ ფასად, 1000 ლარად ნაყიდ სახლში ცხოვრობს, რომლის რეალური და კანონიერი მფლობელი ქონებაჩამორთმეული როლანდ ბლადაძეა, მნიშვნელოვანია, საზოგადოებამ იცოდეს, რა „დამსახურებისთვის“ იღებს პაპუაშვილი ამ ოდენობის თანხას სახელმწიფო ბიუჯეტიდან! მართალია, თავმჯდომარეცაა და მოსამართლეებიც, კანონით, სოციალური დაცვის გარანტიებით სარგებლობენ, მაგრამ ეს კოლოსალური თანხების ხარჯვას სულაც არ ნიშნავს. გამოდის, საკონსტიტუციო სასამართლო მხოლოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების განსახილველად იკრიბება, წელიწადში რამდენჯერმე და მშვენიერი საზაფხულო და ზამთრის არდადეგებს ატარებენ ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში.

— **რას გულისხმობთ, როცა ამბობთ, საკონსტიტუციო სასამართლო მხოლოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების განსახილველად იკრიბებაო? მათ საკმაოდ სამართლიანი გადაწყვეტილება მიიღეს მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების გათანაბრების შესახებ.**

— ეს შეხედულება პრაქტიკიდან გამომდინარე ჩამოგვიყალიბდა. საკონსტიტუციო სასამართლოს პოლიტიკოსებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების გარდა, რიგითი მოქალაქეებიც მიმართავენ. თუმცა დიდია განსხვავება რიგითი მოქალაქეების სარჩელებისა და მაღალი საჯარო ინტერესის მქონე, პოლიტიკურად მოტივირებულ საქმეების განხილვის ვადებს შორის. ზოგადად, სასამართლოს გადაწყვეტილების გამოცხადებამდე 9-თვიანი ვადა აქვს, თუმცა უგულავას საქმეზეც და საარჩევნო საკითხთან დაკავშირებითაც, მათ საქმე შემჭიდროვებულ ვადებში განიხილეს. ასევე, ვფიქრობ, წინ გვაქვს არანაკლებ საინტერესო გადაწყვეტილებები. კერძოდ, მაღალია ე.წ. მოსმენების შესახებ კანონისა და ეროვნული ბანკის საზედამხედველო სამსახურის ანტიკონსტიტუციურად ცნობის ალბათობა. ხოლო ამ საკითხებზე გადაწყვეტილებასაც, ჩემი აზრით, შემჭიდროვებულ ვადებში მოვისმენთ, ანუ სულ რამდენიმე თვეში, 2016 წლის თებერვლამდე, ვიდრე გიორგი პაპუაშვილს უფლებამოსილების ვადა ამოეწურება.

— **ეს შთამბეჭდავი რიცხვები მხოლოდ მორალური შეფასებისა და დავის საგანი შეიძლება გახდეს თუ სამართლებრივიც?**

— კანონის თანახმად, აუდიტის სამსახური ყველა უწყებას, მათ შორის, სასამართლოს ხარჯით ნაწილსაც სწავლობს. არ ვიცი, ბოლოს როდის შევიდა საკონსტიტუციო სასამართლოში აუდიტის სამსახური. გამოქვეყნებული კვლევა და ეს ასტრონომიული რიცხვი მეტყველებს, რომ ღატაკ ქვეყანაში მდიდარი საკონსტიტუციო სასამართლო გვყავს! ჩვენ არ ვიცით, რეალურად რას ფლობს პაპუაშვილი, რადგან მას დეკლარაციაში მხოლოდ ბლადაძის კუთვნილი ბათუმის სახლი აქვს მითითებული. როგორც ამბობს, ყველა ქონება კანონის დაცვით შეიძინა, ამიტომ გამოვიდეს და უთხრას საზოგადოებას, რა თანხებით და კონკრეტულად რა ქონებას ფლობს თბილისსა და ბათუმში. იგი დღეს ერთ-ერთი უმდიდრესი საჯარო მოხელეა ქვეყანაში. ჩვენს მიერ გამოქვეყნებული მონაცემებიც ამას ადასტურებს და ამ კვლევით შესაბამისი საგამოძიებო უწყებებიც უნდა დაინტერესდნენ.



## ირაკლი ღარიბაშვილმა ალექსის ციპრასს არჩევნებში გამარჯვება პირადად მიულოცა

გაერო-ს გენერალური ასამბლეის ფარგლებში, საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, ბერძენ კოლეგა ალექსის ციპრასს შეხვდა.

საქართველოს მთავრობის მეთაურმა საბერძნეთის პრემიერ-მინისტრს საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვება პირადად მიულოცა.

*„პირველი“*

## საპარტნიორო ფონდის წარმომადგენელთა ხელფასებზე ზღვარი დაწესდება



პარლამენტში ინიცირებულია პროექტი, რომელიც საპარტნიორო ფონდის სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა სახელფასო განაკვეთს ადგენს.

კანონპროექტის მიხედვით, ფონდის სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა შრომითი ანაზღაურება საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის ყოველთვიური თანამდებობრივი სარგოს განაკვეთს არ უნდა აღემატებოდეს.

„საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა შრომის ანაზღაურების შესახებ“ კანონით კი, სასამართლოს თავმჯდომარის ყოველთვიური თანამდებობრივი სარგო 7 000 ლარს შეადგენს.

კანონპროექტის ავტორი და ინიციატორი ოპოზიციონერი დეპუტატი აკაკი ბობოხიძეა, რომლის ინფორმაციით, საპარტნიორო ფონდის თავმჯდომარის ხელფასი დაახლოებით 30 ათასი ლარია: **„კანონპროექტის შემუშავების მიზეზია შეუსაბამოდ მაღალი სახელფასო განაკვეთი, რომელიც საპარტნიორო ფონდში დასაქმებულ პირებს გააჩნიათ, რაც დღეს საქართველოში არსებულ ყველაზე მაღალი სახელმწიფო თანამდებობის პირების შრომის ანაზღაურებასთან შედარებით, განსაკუთრებით მაღალია“.**

საპარტნიორო ფონდის წარმომადგენელთა ხელფასების საკითხი ოპოზიციისთვის აქტუალური მას შემდეგ გახდა, რაც ფონდის თავმჯდომარედ დავით საგანელიძე დაინიშნა.

*„ინტერპრესნიუსი“*

## ავღანეთში დაღუპული ქართველი სამხედრო ვასილ ყულჯანიშვილი რუსთავის სასაფლაოზე დაკრძალეს

ავღანეთში გარდაცვლილი ქართველი სამხედრო მოსამსახურე ვასილ ყულჯანიშვილი სამხედრო პატივით დაკრძალეს.

ყულჯანიშვილი დაკრძალვამდე რუსთავის წმ. გიორგის სახელობის ტაძარში გადაასვენეს, სადაც სამოქალაქო პანაშვიდი ჩატარდა. გარდაცვლილის ოჯახს ვიცე-პრემიერმა კახა კალაძემ, შს მინისტრმა გიორგი მღებრიშვილმა, სასჯელაღსრულების მინისტრმა კახა კახიშვილმა, სუს-ის უფროსმა ვახტანგ გომელაურმა, ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა, დევნილთა მინისტრმა სოზარ სუბარმა, პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილმა და საქართველოში ამერიკის ელჩმა იან კელიმ მიუსამძიმრეს.

პანაშვიდზე, ასევე, იმყოფებოდა „თავისუფალი დემოკრატების“ ერთ-ერთი ლიდერი ალექსი პეტრიაშვილი, საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი მაია ფანჯიკიძე და ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მეუღლე სანდრა რულოვსი.

ავღანეთში „მტკიცე მხარდაჭერის“ მისიის ფარგლებში პატრულირებისას, ქართველ სამხედროებზე თავდასხმა პირდაპირი ცეცხლით განხორციელდა. სროლების დროს სერჟანტი პაატა როსტობაია დაიჭრა, დაზღვევაზე მყოფი პირველი კლასის რიგითი ვასილ ყულჯანიშვილი კი, დაშავებული თანამებრძოლის ევაკუაციის დროს დაიღუპა.

*„პირველი“*



# „სააკაშვილი მუდმივად ავანტიურაზე მიდიოდა, ამ ხელისუფლებას ამის თავიც არ აქვს“

## როგორ უნდა გაუმკლავდეს „რუსულ საფრთხეებს“ საქართველო და რა გაუმხილა „ვერსიას“ მამუკა არეშიძემ

ნინო კომახიძე
599-95-33-16

**კიდევ ერთი 27 სექტემბერი გავიარეთ ისე, მოვლენების კვალიფიციური შეფასება და ახალი სამოქმედო სტრატეგია, რომელიც ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებს დაათბობდა, არ მოგვიმზადებია. ხელისუფლება უსაფრთხოების დოკუმენტსაც კი გულგრილად ეკიდება. უშიშროების საბჭოს სხდომაზე პრემიერი კვლავ არ მივიდა, ეროვნული უსაფრთხოების დოკუმენტის ტექსტი წინა წლების ტექსტებიდან გადმოიწერეს, აფხაზეთი და სამაჩაბლო კი, ზოგადად, ლექსიკიდანაა ამოღებული. ამ მდგომარეობის მიზეზებს ალბათ იმ შემთხვევაში მივხვდებით, თუ ერთ კითხვას ვუპასუხებთ — ომი დასრულდა?! ჩვენს ქვეყანასა და ზოგადად, კავკასიაში მიმდინარე პროცესები კავკასიისა და უსაფრთხოების საკითხების სპეციალისტმა, მამუკა არეშიძემ შეაფასა, რომელთან საუბარიც საქართველოს წინაშე არსებული მთავარი საფრთხეების ანალიზით დავიწყეთ.**

— მეჩვენება, რომ უსაფრთხოების ახალი დოკუმენტი ცოტა ზედაპირული იყო და წინა დოკუმენტების გამეორება გახლდათ. მთავარ საფრთხედ ისევ რუსეთია მოაზრებული, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ საქართველოს წინაშე მხოლოდ ეს ერთი საფრთხეა. „ტრადიციული საფრთხე“, ცხადია, ჩრდილოეთიდან მოდის, რაც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის რღვევითაა გამოწვეული. ოღონდ ეს რუსეთის გეგმა-მაქსიმუმი არ არის. მას დამუშავებული აქვს სხვადასხვა გეგმა, როგორ მოიქცეს საქართველოს ურჩობის შემთხვევაში: აამოქმედოს მინავლებული კერები, მცოცავი ან დროებითი ადმინისტრაციული საზღვრები დაარღვიოს თუ საქართველოს ტერიტორიაზე კორიდორი გაჭრას ყარაბაღის კონფლიქტის გამწვავების შემთხვევაში. კიდევ ერთი მუდმივი საფრთხე საზღვრის უქონლობაა რუსეთთან. საზღვარი დემარკირებული დღემდე არ არის, ადმინისტრაციული საზღვარი კი უამრავგანაა დარღვეული. თუ 1990 წელს 44 გადასასვლელი და უღელტეხილი იყო, რომელიც ჩრდილოეთიდან რუსეთს უერთდებოდა, სამხრეთიდან საქართველოს, დღეს აქედან 24-ს, ორივე მხრიდან, რუსეთი აკონტროლებს. მუდმივ მოძრაობაშია ის 80 კმ-იანი საზღვარიც, რომელიც რუსეთთან გვაკავშირებს.

**— თუმცა არის არგუმენტი, რომ დემარკაცია ნიშნავს აღიარებას და რომ ამით საზღვრის ჩრდილოეთ მხარეს დარჩენილი ტერიტორიის დაკარგვაზე ვაწერთ ხელს, მაგრამ მგონი, არადემარკირებული საზღვრის გამო, ნელ-ნელა უფრო მეტ ტერიტორიას ვკარგავთ...**

— ნაწილობრივ, ეს არგუმენტი სწორია, მაგრამ რასაკვირველია, არადემარკირებული საზღვრის გამო უფრო მეტი წავაგეთ, ვიდრე მოვიგეთ. 2010 წელს ორი დიდი ტერიტორია დავკარგეთ: მამისონის უღელტეხილი და 24 კილომეტრი დიკლოსთან; ამავე პერიოდში, დავკარგეთ ტერიტორია ყაზბეგის რაიონში, ბოლო დროს კი, თუშეთში, დაღესტნელი მწყემსების მიერ საზღვრის გადმოლახვის ფაქტი დაფიქსირდა. ისინი ჯერ ცხვარს აძოვებდნენ, მერე დროებითი ნაგებობა ააშენეს, ახლა გასული ზამთარი ამ ნაგებობაში გაატარეს და დღეს ამბობენ, ეს დაღესტნის ტერიტორიააო.

**— ჩვენ არც უშიშროების სხდომებს ვესწრებით, არც მსგავს საფრთხეებზე ვსაუბრობთ და როგორც სახელმწიფო, საერთოდ სად ვართ ხოლმე ასეთ დროს?**

— ეს კითხვა მე არ უნდა დამისვათ. ჩემი ამოცანა და მოვალეობა განგაშის ზარების შემოკვრაა, მაგრამ სხვა ბერკეტი არ მაქვს და ვერაფერს ვიზამ.

**— გასაგებია, არსებობს საფრთხეები, მაგრამ მათთან გამკლავების სახელმწიფო სტრატეგიაც ხომ უნდა არსებობდეს. ვთქვათ, რა სტრატეგია გვაქვს ნომერპირველ მტერთან, რუსეთთან მიმართებაში?**

— სტრატეგიას ვერ ვხედავ! სხვათა შორის, არანაკლები საფრთხე თუნდაც ჩვენი პარტნიორი ქვეყნებისგან მომდინარეობს. განა ჩვენთვის უნდათ ცუდის გაკეთება, უბრალოდ, საკუთარი ქვეყნის ინტერესებს ატარებენ. ჩვენ ამ ყველაფერს ვერც ვანეიტრალებთ და ვერც კონტრლონისძიებებს ვუპირისპირებთ. ავიღოთ საერთო საფრთხე, რომელიც ყველა სუბიექტისგან მოდის, მაგალითად, დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციები. ხშირად გვესმის, რუსული ან ამერიკული არასამთავრობოები ქვეყანას საფრთხეს უქმნიანო. იმაზე კი არავინ საუბრობს, რომ არანაკლებ აქტიურობენ აღმოსავლეთის ქვეყნების ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციებიც. ჯამში, ორგანიზაციათა 50% კონკრეტულ პოლიტიკურ დაკვეთას ასრულებს. ანალოგიურად, ყველა მსხვილი მოთამაშე, ამერიკა, რუსეთი, ევროკავშირი, ირანი და თურქეთი, საკუთარი ინტერესიდან გამომდინარეა ჩართული ჩვენი კონფლიქტების მოგვარებაშიც.

**— ახლახან იყო სოხუმის დაცემის დღის კიდევ ერთი წლისთავი. რამდენიმე ათეული წლის შემდეგ რა შეიცვალა, ვინ როგორ გადახედა საკუთარ პოზიციებს კავკასიაში — შეთანხმდა თუ არა ყველა მონაწილე მხარე, რომ ომი დამთავრდა?**

— პრინციპში, ომი ზოგისთვის დასრულდა. ზოგისთვის მუდმივ რეჟიმში გრძელდება, ზოგისთვის მინავლებულია. მაგალითად, ყარაბაღისთვის ომი ყოველდღიურ ფაზაშია, კონფლიქტის ზონაში მცხოვრები მოსახლეობისთვის კი, არცერთი წუთით არ დასრულებულა. მათთვის დაჭერა, შევიწროება და ფსიქოლოგიური ტერორი ყოველდღიური ამბავია. ეს ომის ნაწილია!

**— თუკი ნაციონალებისთვის „სოხუმი ჩვენი იერუსალიმი“ მაინც იყო, „ოცნება“ აფხაზეთ-სამაჩაბლოს სლოგანის დონეზეც აღარ ახსენებს. რატომ?**

— სხვათა შორის, ეს ლოზუნგი სიონისტური მოძრაობიდანაა აღებული, თუმცა მათ მიზნის მისაღწევად ბევრი შრომა და საუკუნეები დასჭირდათ. მსგავსი იდეალისტური მიდგომით, წლების განმავლობაში მასების აყოლიება შეიძლება, მაგრამ ლოზუნგს შესაბამისი მუშაობაც ხომ უნდა უძღვოდეს წინ? ერთია ლოზუნგი, მეორე — ფინანსური, ადამიანური აქტივი და რაც მთავარია, მუდმივი მზადყოფნა ომისთვის. ჩვენთან კი ეს ყველაფერი ლოზუნგთან კი არ იწყება, სრულდება! ეს სტაფილოს სინდრომია, რომელსაც მუდმივად ვირის წინ კიდებენ.

**— თუ ჩვენ ვირის პოზიციაში ვართ, ახლა სტაფილოს არც გვიკიდებენ და აღარც მივყვებით. ამიტომ გეკითხებით, საქართველომ დაასრულა ომი?**

— ეს სააკაშვილის მეთოდი იყო. იგი პიარს კატეგორიული მეთოდებით აწარმოებდა. „ოცნება“ კი ამას უფრო რბილი მეთოდებით ცდილობს, ან საერთოდ არაფერს აკეთებს. თუმცა, ეს ხელისუფლება წინაზე პატიოსანია, სტაფილოს მაინც არ გვიკიდებს ცხვირწინ, მაგრამ სულ გაჩერებაც არ შეიძლება. ვიდრე ერის კონსოლიდაცია არ მოხდება, არავითარი იერუსალიმი არ შედგება. ცვლილებების არ უნდა გეშინოდეს, როცა ხელისუფლება ხარ, დამდგარ ჭაობში ქვაც უნდა ჩააგდო. სააკაშვილი მუდმივად ავანტიურაზე მიდიოდა და ისიც ვნახეთ, ამან რა მოგვიტანა. ამ ხელისუფლებას კი, ხშირ შემთხვევაში, ავანტიურის თავიც არ აქვს. თუმცა, კარგი გაგებით ავანტიურა, ხანდახან შედეგიანია.

**— სამაგიეროდ, ხანდახან იმაზე შფოთავენ, რომ აფხაზეთიდან, კოდორის ხეობიდან, ქვემო ქართლიდან ხალხი სირიაში მიდის. ჩვენ რას ვაკეთებთ იმისთვის, რომ არ წავიდნენ?**

— ახლა ერთ რამეს მოგიყვებით, რაც არც ერთი ჟურნალისტისთვის არ მითქვამს. გაიხსენეთ 11 აგვისტო, საფეხბურთო მატჩი სევილია-ბარსელონას შორის. გახსოვთ, რამდენი აფხაზი ჩამოვიდა ამ მატჩის სანახავად?

**— მახსოვს და მოღალატეებიც ეძახეს აფხაზეთში.**

— ახლა მოგიყვებით, როგორ ჩამოვიდნენ ეს აფხაზები და ოსები აქ. ყველამ იცის, ასეთი საქმეები ასე მარტივად არ კეთდება, გვესმის, ერთ დღეს თავს ვერ დაადებდნენ და პირდაპირ ენგურზე ვერ გადმოვიდოდნენ აქ მოსახვედრად. შემიძლია მხოლოდ ფრჩხილები გავხსნა და გითხრათ, რომ ამ საკითხზე ძალიან დიდი სამუშაო ჩატარდა.

**წარმოიდგინეთ, 5 ახალგაზრდა ბიჭი წავიდა სოჭში, იყიდა ბილეთები, გაფრინდა ერევანში და იქედან ჩამოვიდა თბილისში — მესი ასე როგორ უნდა გიყვარდეს, ამხელა გზა გაიარო ან სად ჰქონდათ ამხელა ფინანსები? ჯერჯერობით, არაა გასამჟღავნებელი, ეს ამბავი სახელმწიფოებრივ დონეზე მოხდა თუ ადამიანურზე, მაგრამ მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ამ მრავალრიცხოვანი ვოიაჟის უკან დიდი სამუშაო და მომზადება იდგა საქართველოს მხრიდან. შეგვიძლია, ეს თბილისში, მავანის ანგარიშზე შევიტანოთ და მადლობა გადავუხადოთ ამ შესანიშნავი მუშაობისთვის.**

თუმცა ამას ერთჯერადი აქციის ფორმა არ უნდა ჰქონდეს. სოხუმში ვიღაცებმა, სოციალური ქსელების მეშვეობით, ბევრი იჭიჭყინეს და იმ ახალგაზრდებს მოღალატეებიც ეძახეს. თუმცა ერთ-ერთმა ბიჭმა კარგი პასუხი გასცა:

**ომის მერე დავიბადე, დაქცეული ქვეყნის გარდა არაფერი მინახავს და საქართველო ჩემთვის „მოყოლილი მტერიაო“. ტელევიზორში რომ ხედავენ უკეთეს ცხოვრებას, რატომაც არ უნდა ნახონ პირადად, თუკი ეს მათ გვერდით ხდება? ამ კონკრეტულმა ახალგაზრდამ უფროს თაობას უთხრა, თავი გაგვანებეთო. ასე ფიქრობს ყველა, ვისთვისაც საქართველო მოყოლილი მტერია.**

საერთოდ, 1500-ზე მეტ აფხაზს აქვს თბილისში ნამკურნალები. ბოლობოლო, რუსლან ქიშმარია იწვა 2 თვე ჩვენს კლინიკაში. მეორე საველე მეთაურიც ჩამოვიდა და ჩ ჰეპატიტის პროგრამაში ჩაერთო. მეც დავეხმარე ერთ-ერთ პიროვნებას, რომელიც ვიცი, ჩვენს წინააღმდეგ იბრძოდა, მაგრამ შვილიშვილი ადუღებული წყლით სავსე ქვაბში ჩაუვარდა და საწყალ ბავშვს სხეულის 40% დაეწვა. ეს ბავშვი თბილისში, დამწვრობის ცენტრში ძლივს გადაარჩინეს. ასეთი რამეების კეთებას დიდი მნიშვნელობა აქვს. მთავარია, მერე ეს ყველაფერი ლოგიკურად გაგრძელდეს. შეიძლება, ახლა ამას კულუარული მუშაობა დავარქვათ, მაგრამ აუცილებელია თანმიმდევრულობა და მუშაობის გაშლა — ეს მოქმედებები უფრო მასშტაბური უნდა გახდეს!

**— შემდეგი ეტაპი, ალბათ, უკვე სახელმწიფოებრივ დონეზე დგება. რა შეიძლება იყოს ეს?**

— რთული სათქმელია, რა არის შემდეგი ეტაპი. თუმცა მიმაჩნია, რომ ერთი მხრივ, ახალგაზრდა თაობაზე, მეორე მხრივ კი იმ ადამიანებზე უნდა ვიმუშაოთ, ვისთანაც ნათესაური და პროფესიული კავშირები გვაქვს. ასეთი კი, ჯამში, ძალიან ბევრია. ეს გრძელვადიანი, მაგრამ აბსოლუტურად სწორი მეთოდია. აფხაზებს რეალობის შეგრძნება ნამდვილად აქვთ. ერთ-ერთი აფხაზის თქმისა არ იყოს, რუსები გვეფერებიან და გვეხუტებიან, მაგრამ გვეშინია, ამ ჩახუტებით არ დაგვახრჩონო. ამიტომ ისე უნდა ვიმუშაოთ, არც ჩვენი ღირსება დავამციროთ და არც სხვისი ინტერესები დაგვავიწყდეს. ამასწინათ, ერთ-ერთი აფხაზი ისტორიკოსი აფხაზურ პრესაში წერდა, რა მოხდა აფხაზეთში 1880 წელს, როგორ აღმოჩნდა მთელ რუსულ იმპერიაში აფხაზეთი ერთადერთი, ვისაც იმპერატორმა ალექსანდრე მესამემ უუფლებო ერის სტატუსი მიანიჭა. თუმცა არსად იყო ნახსენები, რომ ეს რუსეთმა გააკეთა. ამ სტატიის ავტორს კი ახალგაზრდები ედავებოდნენ, რუსეთს რატომ არსად ახსენებ, სიმართლე ბოლომდე უნდა ვიცოდეთო. ძველი თაობა მაინც ამ კლიშეებით აზროვნებს, ახალგაზრდები კი უკეთ ცხოვრებას, თვალსაწიერის გაფართოებას ცდილობენ. აი, მათი ეს თვისება უნდა გამოვიყენოთ. ერთიერთობის ერთ-ერთ საშუალებად სოციალურ ქსელებში მუდმივი დებატებიც მიმაჩნია ქართველებსა და აფხაზებს შორის, ოღონდ კვალიფიციურ დონეზე. საჭიროა, სპეციალისტების ჩართვა ამ დიალოგში, რომლებიც საქართველოს არქივიდან შემონახულ საინტერესო დოკუმენტებს ამოიღებენ. ვთქვათ, რას წერდა 70-იან წლებში გუბერნატორის მოადგილე სვიატოპოლ მირსკი აფხაზებზე, რატომ მიანიჭა რუსეთმა უუფლებო ერის ტიტული აფხაზებს, როგორ გაასახლეს აფხაზები, 1930-იან წლებში, რა მოხდა 1937 წელს აფხაზეთსა და საქართველოში და ა.შ.

**— მერე, ორგანიზაციულად, ფუნქციურად, ეს ვინ უნდა აკეთოს, მხოლოდ სამოქალაქო დონეზე ეს საქმე გამოვა?**

— პირველ რიგში, ეს სახელმწიფომ უნდა გააკეთოს. მან უნდა შექმნას ინიციატივათა მთელი პაკეტი, რომელშიც საზოგადოებასაც აქტიური როლი ექნება. ფაქტია, ეს ხელისუფლების საქმეა! ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ საქართველოში იყვნენ და არიან ახალგაზრდები, რომელთაგან ზოგი სხვის დაკრულზე ცეკვავს, ზოგმა კი არ იცის, რომ აფხაზეთი მხოლოდ გეოგრაფიულ-პოლიტიკური ერთეული კი არა, ქართული იდეის ნაწილია.

ვერსიანიუსი

# ვლადიმერ პუტინისა და ბარაკ ობამას შეხვედრა კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღების გარეშე დასრულდა



გაერო-ს გენერალური ასამბლეის ფარგლებში აშშ-სა და რუსეთის პრეზიდენტების ორმხრივი შეხვედრა გაიმართა. 2013 წლის ზაფხულის შემდეგ, ბარაკ ობამამ და ვლადიმერ პუტინმა პირისპირ პირველად ისაუბრეს. შეხვედრა დაგეგმილ 55 წუთზე თითქმის ორჯერ მეტხანს გაგრძელდა, მაგრამ, მოლაპარაკებები უშედეგოდ დასრულდა — მწვავე რეგიონული პრობლემების მიმართულებით კონკრეტული ნაბიჯები არ გადადგმულა, თუმცა, დაფიქსირდა დიალოგის აღდგენა უმაღლეს დონეზე. საუბრის დასრულების შემდეგ, ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ მხარეებმა სირიაში არსებული ვითარება, კონფლიქტის დარეგულირებაში რუსეთის როლი და უკრაინის აღმოსავლეთში მიმდინარე კონფლიქტი განიხილეს. რუსეთის პრეზიდენტმა აღნიშნულ შეხვედრას სასარგებლო, კონსტრუქციული და გულახდილი უწოდა: **„დღევანდელი დიალოგი იყო საქმიანი, კონსტრუქციული და რაც ძალიან სასიამოვნო იყო ჩემთვის, გულახდილი. ჩვენ ბევრი საერთო წერტილი გამოვნახეთ, თუმცა, არსებობს აზრთა სხვადასხვაობაც, რაც ყველასთვის ცნობილია“.**

ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ სირიელებმა საკუთარი ბედი თვითონ უნდა გადაწყვიტონ. მისი თქმით, რუსეთის არმია სირიის კონფლიქტში სახმელეთო ოპერაციაში არ ჩაერთვება, თუმცა, არ არის გამორიცხული, „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისი საჰაერო ოპერაცია ჩატარდეს. პუტინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მოსკოვი მზად არის, ვაშინგტონთან ბოლო დროს დაძაბული ურთიერთობა დაალაგოს. თეთრი სახლის წარმომადგენლის ინფორმაციით, რუსეთის პრეზიდენტთან შეხვედრაზე ბარაკ ობამამ შეშფოთება გამოთქვა აღმოსავლეთ უკრაინაში მიმდინარე მოვლენებზე და მინსკის მოლაპარაკებების შეუსრულებლობის გამო. კერძოდ კი, ობამასთვის შემაშფოთებელია ის ფაქტი, რომ დონეცკისა და ლუგანსკის თვითაღიარებული რესპუბლიკები ე.წ. ადგილობრივი არჩევნების ჩატარებას გეგმავენ.

*„პირველი“*



# დაუმთავრებელი ზღაპარი ლარზე

ლევან სეფისკვერაძე

იყო და არა იყო რა, იყო ერთი კაცი, რომელსაც სახელად ლარს ეძახდნენ და როგორც მის მამა კუპონსა და ბაბუა ბონს, მასაც ბავშვობიდან დაებედა კაეშნიანი ჟამი და სიყრმიდან ავი იღბალი დაუყენა გამჩენმა წუთისოფელმა.

თუკი ლარის უფროსი მეგობრები: დოლარი, ფუნტი და სხვანი და სხვანი ყოველწლიურად იზრდებოდნენ, ლარი დღითიდღე პატარავდებოდა და როდესაც ლარი 23 წლის მოიყარა, მასა და მის მეგობრებს შორის მოცულობითი განსხვავება უკვე იმხელა გახდა, ეს გულდამთუთქავი ამბავი ლარის ქვეყანაში ერთ კოხტა ნიჟარაში მცხოვრები ბრძენთაბრძენის ყურამდეც კი მივიდა. უფრო სწორად, ამბავი ბრძენთაბრძენს ჯერ მისმა მოგვებმა ამცნეს, შემდეგ კი ლარის მთელი საახლობლო და სანაცნობო ესტუმრა, ეგებ ამ კაცს რამე ვუშველოთ, თორემ თუ ასე გააგრძელა დაპატარავება, მალე ხელში ჩამოგვადნებაო.

როგორც უკვე გითხარით, ყოვლისმცოდნე ბრძენთაბრძენი კოხტა ნიჟარაში ცხოვრობდა და როგორც ყველა ნიჟარაში მცხოვრებს, პასუხისმგებლობა არ ჰქონდა ლარისა და სხვა მისთა მსგავსთა პრობლემებზე აღებული, მაგრამ რაკი ძველ დროს, ერთ დღეს პასუხისმგებლობის აღებაც სცადა, ამის შემდეგ თავი მოვალედ რაცხა, მასთან თხოვნითა და აჯით მისულნი დაემშვიდებინა და ეთქვა, რომ ლარის სიმცირე ოდენ მათი თვალის ილუზორული ნაკლი იყო და რეალურად ლარი ჯანსაღი იყო, ვითარცა ჰერაკლე და მარადიული, ვითარცა იალბუზი.

მაგრამ გადიოდა დრო, ლარი უფრო და უფრო კარგავდა წონასა და ილაჯს და ყველა ნათლად ხვდებოდა, რომ ბრძენთაბრძენის სიტყვები შემოდგომის ქარივით დაჰქროდა მათ გარშემო, რეალობა კი დღითიდღე უფრო მძიმე და შემზარავი ხდებოდა. ამიტომ, ლარის მოკეთენი კიდევ ერთხელ ეწვივნენ დიად ნიჟარას, რათა კიდევ ერთხელ მიეღოთ ბრძნული რჩევა-დარიგებები, მაგრამ დახეთ მათ გაოცებას, როდესაც ბრძენთაბრძენმა ზურგი აქციათ და ვითარცა უტყვი სალოსი, ისე გაეცალა მათ.

და ჰოი, ძალნო ციურნო მრავლისშემძლენო! ნაცვლად იმისა, რომ ბრძენთაბრძენსა და მის მოგვებს ექმნათ საქმენი საიმედონი, ისინი ადგნენ, მოიძიეს მათ მიერვე რამდენიმე წლის წინ დამარცხებული ტომი სახელად ნაციანელნი და ლარის ავადობა და ვაება ყოველი, სწორედ მათ გადააბრალეს. ბრძენთაბრძენის მოგვებმა და მსტოვრებმა ქვეყნის ქალაქებსა და სოფლებში გაავრცელეს ამბები, რომ რაკი კაცნი აწუკვე დამარცხებული ნაციანელთა, ჯერ ისევ ბუდობენ ქვეყნის გულისგულში და ერის შიგანს წამლავენ, სწორედ მათი ბრალია ავადობა ლარისა და ავადობა ქვეყნისა სრულიად.

ისიც ხომ ყველამ ვიცით, რომ ბევრ კაცზე (მთელი ტომის) ყველაფრის ერთობლივად გადაბრალებას, ერთი ადამიანის მომტერნედ წარმოჩენა სჯობს? ბოლოს ადგნენ მსტოვარნი და მოგვნი და ნახეს კაცი ქადაგი, სახელად გივარგი, რომელსაც ეჭირა სამთავრო ფინანსისა და ადგილი თვლისა ხაზინისა. ადგნენ და ყველაფერი დააბრალეს მას და იყო დიდი რუზრუზი და ნთხევა ზიზღისა მის მიმართ და იყო შვება ფრიადი ბრძენთაბრძენისა, რამეთუ ხალხმა იხილა დამნაშავე ერთი და ბოროტებაშემოსილი.

მაგრამ, ამის შემდეგ, როდესაც მთლად დაუძლურდა ლარი და უკვე ისიც ნათელი გახდა, რომ ქადაგად დავარდნილი გივარგი მხოლოდ ვერ იქნებოდა დამნაშავე ყოველგვარ ავსა და ბნელ საქმეში, ხალხმა ბეჩავმა და ხალხმა შემყურემ ლარისა, ხალხმა შეშინებულმა და ლარისებრ დაუძლურებულმა, გაბედა ფიქრი, რომ არც მთლად ბრძენთაბრძენი ყოფილა ის ბრძენთაბრძენი, ჩვენ ვინც გვეგონაო და იქმნა ვიშვიში და კაეშანი ფრიადი, რადგან არც ისე ადვილია, საკუთარ თავს გამოუტყდე იმის საპირისპიროში, რასაც ადრე სხვებს უმტკიცებდი.

მომაკვდავი ლარის ქვეყანაში კი ადამიანებს არასოდეს უყვარდათ შეცდომების აღიარება.



# „არ ვიცი, ეს ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებად მეთვლება თუ არა, მაგრამ მაინც უნდა გითხრათ"...



## რატომ შეხვდა დავით უსუფაშვილი ირმა ინაშვილს და რა უპასუხა „ვერსიას" კითხვებზე

ნინო კომახიძე
599-95-33-16

**28 სექტემბერს პარლამენტის თავმჯდომარე პარლამენტში აკრედიტებული მედიასაშუალებების წარმომადგენლებს შეხვდა და მათ კითხვებს 1 საათის განმავლობაში პასუხობდა. როგორც დავით უსუფაშვილმა შესავალ სიტყვაში გვამცნო, პარლამენტისგან მეტი ღიაობა ევროკავშირის ერთ-ერთი რეკომენდაცია გახლდათ... ასე რომ, ალბათ, ამ შეხვედრისთვის მადლობა ჩვენც სწორედ ევროკავშირს უნდა გადავუხადოთ. თავის მხრივ, ბატონი თავმჯდომარე დაგვპირდა, ამ შეხვედრას ერთჯერადი აქციის სახე არ ექნება და ვეცდები, ორ კვირაში ერთხელ მაინც ვუპასუხო დაგროვილ კითხვებსო.**

კითხვა კი მართლაც ბევრი დაგროვდა. უსუფაშვილმა პოლიტიკაზე, არჩევნებსა და საპარლამენტო ცხოვრებაზეც ისაუბრა, ეკონომიკასა და პრობიზნესურ პროექტებზეც, ენერგეტიკაზეც, რუსეთზეც და „ვერსიის" კითხვებსაც უპასუხა. ერთ-ერთი პირველი, რაზეც პარლამენტის თავმჯდომარემ ისაუბრა, უმრავლესობის ექსლიდერის, ახლა უკვე საპარტნიორო ფონდის ხელმძღვანელის, დავით საგანელიძის განცხადება იყო იმის შესახებ, რომ პარლამენტში ყველას ადგილი არ არის. აქვე, უსუფაშვილმა თავისივე მსგავსი განცხადებაც გაიხსენა და კიდევ ერთხელ განმარტა, ასევე განაცხადა, რომ კოალიციაში ჯერ საპარლამენტო სიების ფორმირება არ დაწყებულა: **„კონკრეტულად, ვის სურს პარლამენტში დარჩენა, ვინ იმსახურებს თუ ვის აღარ უნდა, აჯობებდა, ამაზე დავით საგანელიძეს მაშინ ესაუბრა, როცა უმრავლესობის ლიდერი იყო. ადრე ამ თემაზე მეც ვისაუბრე, მაგრამ ვთქვი არა ის, რომ ვინმე ზედმეტია პარლამენტში, არამედ ის, რომ ვიღაც ნაკლებია და მინდა, ვისურვო მეტი პროფესიონალი იურისპრუდენციის, ეკონომიკის, ფინანსების დარგში. არც ერთი უმაღლესი დაწესებულება არ იძლევა დიპლომს, რომელშიც წერია სპეციალობა „პარლამენტარი". მნიშვნელოვანი ის კი არაა, ვინ რას აკეთებდა პარლამენტში შემოსვლამდე, არამედ ის, პარლამენტში მოსვლის შემდეგ ვინ რას აკეთებს... რაც შეეხება საარჩევნო სიას, მასზე მუშაობის დაწყება ჯერ ძალიან ადრეა, მაგრამ ნელ-ნელა ეს დროც მოდის. ქვეყანაში საარჩევნო ციებ-ცხელება დაწყებულია, რაზეც ძალიან ბევრი რამ მიუთითებს. ამისთვის კოალიციაც ემზადება. იმ თემის გაანალიზება, ვის ვისთან და როგორ წარმოუდგენია ყოფნა, ალბათ, ინდივიდუალურადაც მიმდინარეობს, მაგრამ გარწმუნებთ, ჯერ კოალიციაში სიებსა და კანდიდატურებზე მსჯელობა არ მიმდინარეობს".**

ცხადია, პარლამენტის თავმჯდომარე მედიის კითხვებს კოალიციის დაშლა-არდაშლის შესახებაც ვერ გადაურჩა. განსაკუთრებული ინტერესის საგანი ჟურნალისტებისთვის რესპუბლიკელების დარჩენის საკითხი იყო კოალიციაში. კოალიცია თანხმობის შედეგია და ამ თანხმობას 2016 წლის არჩევნების წინაც შევინარჩუნებთო, განაცხადა უსუფაშვილმა: **„რესპუბლიკური პარტია კოალიცია „ქართული ოცნების" წევრია და მისი სხვა წევრები ჩვენი პარტნიორები არიან. დღევანდელი მონაცემებით, საფუძველი არ მაქვს, განვაცხადო, რომ მომავალ არჩევნებზე რამე შეიცვლება. კოალიცია პარტიათა თანხმობის შედეგია და პარტიათა თანხმობა, შეთანხმება მომავალი არჩევნების წინაც საჭირო იქნება. უნდა შევთანხმდეთ როგორც შინაარსზე, ისე ჩვენს მიზნებზე, პრიორიტეტებსა და ამოცანებზე. ასევე, სხვადასხვა დეტალზე, რაც ამ გაერთიანების გამართულ მუშაობას უზრუნველყოფს. როცა ოთხი წლის წინ, ბიძინა ივანიშვილის ინიციატივით, კოალიციას შევუერთდით, ძალიან მკაფიო და კონკრეტული ამოცანები გვქონდა. მათი დიდი ნაწილი შესრულდა, ზოგი შესრულების პროცესშია, რაღაცები, ალბათ, ბოლომდე ვერ შესრულდება... ეს ნიშნავს, რომ 2016 წლის არჩევნებისთვის მომავალი ოთხი წლის პრიორიტეტების განსაზღვრისას, კოალიციამ ამ ყველაფერს უნდა გადახედოს და შეჯერდეს. დღეს არ არსებობს წინაპირობა, რესპუბლიკურმა პარტიამ სხვა გადაწყვეტილება მიიღოს. ამის წინაპირობას ვერც ჩვენი კოლეგებისგან ვხედავ. ყველაფერი მოგვიანებით გაფორმდება, როცა ვიმსჯელებთ, რას ვაპირებთ მომავალში ერთად".**

არჩევნების თემაზე უსუფაშვილმა კიდევ ერთ კითხვას უპასუხა, ყოფილი თანამებრძოლების შესახებ, რომლებიც ახლა არასაპარლამენტო ოპოზიციის რიგებიდან იბრძვიან და 200 000 ხელმოწერას აგროვებენ საარჩევნო კოდექსის შესაცვლელად. უსუფაშვილს მათთვის სანუგეშო არაფერი უთქვამს და იგივე განცხადებებს, რაც ამ თემაზე ცოტა ხნის წინ თავად ოპოზიციასთან გააკეთა, ამჯერად დასძინა — რატომ გავაკეთო რაღაც დღეს, თუკი ამის გაკეთება ხვალაც შეიძლებაო. მან დაადასტურა, რომ პარლამენტი მზადაა ცვლილებებისთვის, ოღონდ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის და ახლა, ამ თემის გამო კოალიციაში დისონანსის შეტანა და მისი დაშლა არასწორია.

ამის შემდეგ უსუფაშვილმა კახა კალაძისა და „გაზპრომის" ხელმძღვანელობის შეხვედრასაც გაუკეთა კომენტარი და განაცხადა, რომ რუსეთთან ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობის აუცილებელი მინიმუმი გარდაუვალია. მისი შეფასებით, საქართველოს მთავრობის პოლიტიკა ენერგეტიკის სფეროში სწორია და საფრთხეებს არ შეიცავს. ენგურჰესიც ახსენა და აღნიშნა, რომ ხელისუფლებას თანამშრომლობა არამხოლოდ რუსეთთან, არამედ აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებასთანაც უწევს: **„ეს პოლიტიკა ჩვენი ქვეყნის მიერ, 7-8 წლის წინ არჩეულ სტრატეგიულ გეზს აგრძელებს — რაც შეიძლება ნაკლები ენერგოდამოკიდებულება რუსულ წყაროებზე. ამ პროცესის გაგრძელებად მიგვაჩნია ერთი მხრივ, ახალი ჰესების მშენებლობა, მეორე მხრივ, ენერგეტიკულ სფეროში თანამშრომლობა აზერბაიჯანთან, თურქეთთან. ვცდილობთ, თურქმენეთი საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარე პროექტებშიც ჩაერთოს. ყურადღებით ვაკვირდებით მოვლენებს ირანის მიმართულებითაც. ირანის სურვილი, გაიტანოს ევროპის ბაზარზე იაფი ენერგია, შესაძლოა, საქართველოსთვის სერიოზული პოტენციალი აღმოჩნდეს. ჩვენი ურთიერთობა რუსეთთან, როგორც ყველა სხვა სფეროში, ისე ენერგეტიკაში, აუცილებელი მინიმუმის დონეზეა და ვერ ვხედავ რაიმე წინაპირობასა და გეგმას, ეს შეიცვალოს".**

მართალია, დავით უსუფაშვილი მთელი შეხვედრის განმავლობაში, სხვადასხვა საკვანძო საკითხებზე საუბრისას ხან დაშლის, ხან საფრთხის წინაპირობას ვერ ხედავდა, თუმცა მისმა თანაპარტიელებმა მაინც დაინახეს რუსული ძალების პარლამენტში მოხვედრის წინაპირობა, რუსულ ძალად კი ირმა ინაშვილი, ანუ საგარეჯოს არჩევნებში მათი კანდიდატის, თამარ ხიდაშელის პირდაპირი კონკურენტი მოიაზრეს. **დავით უსუფაშვილმა** სწორედ ამ თემაზე „ვერსიის" კითხვასაც უპასუხა:

**— ხშირად გვესმის, რომ გაძლიერებული პრორუსული ძალები პარლამენტში მოდიან. ბატონმა ბერძენიშვილმა კი საგარეჯოს არჩევნებში ინაშვილი-ხიდაშელის ბრძოლას რუსეთ-ამერიკის იდეოლოგიის ბრძოლა უწოდა. რამდენად სწორია ასეთი კლიშეების მიწებება და რით განსხვავდება ეს განცხადება სააკაშვილის დროს გასული სიუჟეტისგან, სადაც მან ლევან ბერძენიშვილისა და რუსეთის საელჩოს წარმომადგენლების საუბარი გვასმენინა?**

— დღეს ძალიან კარგ ამბებს ვისმენ. თურმე, ჩვენს ოპონენტებს რესპუბლიკური პარტიის წინააღმდეგ სხვა არგუმენტი არ აქვთ, გარდა ამ ცნობილი ამბისა: თუ როგორ ელაპარაკება პარლამენტის წევრი, ოფიციალური პირი, ლევან ბერძენიშვილი საქართველოში მაშინ ჯერ კიდევ კანონიერად მოქმედი საელჩოს წარმომადგენლებს. ამის გარდა, თუ არაფერი გვჭირს რესპუბლიკელებს, მაშინ კარგად ყოფილა ჩვენი საქმე და აქედან გაცილებთ მაღალი ენთუზიაზმითა და შემართებით გავალ. მეორე საკითხი: რაა გასაკვირი იმაში, რომ იდეოლოგიური სხვაობაა ირმა ინაშვილსა და თამარ ხიდაშელს შორის?!

**— ქვეტექსტი, ბატონო დავით — ეს რუსეთისა და ამერიკის ომია?**

— ქვეტექსტსი ზუსტად ისაა, რომ იდეოლოგიებია განსხვავებული. ეს განსხვავება რომ არ იყოს, მაშინ ეს ორი პარტია ერთად იქნებოდა, ან ერთი მეორესთან, ან მეორე პირველთან, ანდაც, ორივე ერთად, სადმე, მესამესთან. პოლიტიკურ ცხოვრებაში ასე ხდება. ამაში დასაძრახი არც ერთ მხარეს არაფერი აქვს და არჩევნებიც იმიტომ ტარდება, განსხვავებული იდეოლოგიის მქონე ძალებს შორის გავაკეთოთ არჩევანი. აბა, საგარეჯოში 5 ხიდაშელს ან 6 ინაშვილს შორის რომ იყოს არჩევანი გასაკეთებელი, ეს იქნებოდა უკეთესი? მგონი, დემოკრატიული პოლიტიკური ცხოვრება ზუსტად ასეა მოწყობილი.

**— პასუხი ვერ მივიღე — ირმა ინაშვილი რუსეთია, ხიდაშელი — ამერიკა?**

— მგონია, რომ თამარ ხიდაშელი აგრძელებს კოალიციის, ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკას. მისი კანდიდატურა კოალიციაში შემავალმა ყველა პარტიამ დაასახელა და დიახ, იგი იმ კურსს აგრძელებს, რასაც „ქართული ოცნება" დღემდე ატარებს. ის სწორედ ამას აკეთებდა პერსონალური მოღვაწეობის დროს, არასამთავრობო სექტორსა თუ საერთაშორისო ორგანიზაციებშიც. ამ ღირებულებების ერთგულია ახლაც, რომელთაც ემსახურებოდა. ასევე ვიცი, რომ ირმა ინაშვილიც აგრძელებს იმას, რასაც დღემდე აკეთებდა მისი პარტია, პატრიოტთა ალიანსი და ამას გააგრძელებს. სულ რაღაც 1 თვის წინ შევხვდი ქალბატონ ირმას ჩემთან, ოთახში. ძალიან საინტერესო საუბარი გვქონდა საარჩევნო კანონმდებლობასა და სხვადასხვა საარჩევნო საკითხთან დაკავშირებით. მარტივად შევთანხმდით იმაზე, რომ დიახ, განსხვავებული ადამიანები ერთმანეთთან კონკურენციას უნდა ცდილობდნენ და ამ კონკურენციაში წინ მიდიოდნენ. სულაც არ გვიმსჯელია იმაზე, ხომ ერთნაირები ვართო. ჩვენ ვთქვით, რომ ვართ განსხვავებულები და სწორედ ესაა ეფექტი თუ დანიშნულება, გავიდეთ არჩევნებზე და გავარკვიოთ, რას ფიქრობს ხალხი. აი, ასეთი იქნება არჩევნები საგარეჯოში. არ ვიცი, ჩამეთვლება თუ არა ახლა ეს განცხადება რაიმე რესურსის გამოყენებად, მაგრამ ვიტყვი: დარწმუნებული ვარ, მარტვილშიც და საგარეჯოშიც კოალიციის კანდიდატები სერიოზულ წარმატებას მიაღწევენ. იმაშიც დარწმუნებული ვარ, მომავალ წელს, 2016 წლის არჩევნების შემდეგ საქართველოს პარლამენტი ორპარტიული აღარ იქნება და მასში სხვა სუბიექტებიც შევლენ. თავისუფალი დემოკრატები ამბობენ, რომ ცალკე აპირებენ არჩევნებში მონაწილეობას, ასევე სხვა პარტიები, რომლებმაც ადგილობრივ არჩევნებში შედეგები აჩვენეს და ა.შ. ამიტომ წინ საინტერესო მომავალი გვაქვს.

# მსოფლიო ბანკის ანგარიშში საქართველოს ყველა მაჩვენებელი ისტორიულად მაღალი, გაუმჯობესების ტემპი კი ერთ-ერთი ყველაზე სწრაფია მსოფლიოში

ლაშა დვალი

**„მსოფლიო ბანკის 2014 წლის ანგარიშის მიხედვით, გასულ წელს ჩვენი მთავრობის მუშაობის ეფექტიანობა, კორუფციის დონე, გამჭვირვალობა, კანონის უზენაესობა, მედიის თავისუფლების კუთხით არსებული გარემო შეფასდა უმაღლესად. ეს არის 18 წლის რეკორდული მაჩვენებელი, რომელიც ჩვენს ქვეყანას არასოდეს ჰქონია“,** — ასე შეაფასა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მსოფლიო ბანკის 2014 წლის ანგარიში. მისი განმარტებით, ავტორიტეტული ორგანიზაციის, მსოფლიო ბანკის კვლევამ, პასუხი გასცა ხელისუფლების ოპონენტთა უსაფუძვლო ბრალდებებს.

**„ეს არის პასუხი ყველა იმ სკეპტიკოსზე, ყველა იმ ოპონენტზე, რომლებიც აბსოლუტურად უსაფუძვლოდ გვაკრიტიკებდნენ 3 წლის განმავლობაში. ეს არის ჩვენი მუშაობის შედეგი, რომელიც ობიექტურად შეფასდა. ეს არის ჩვენი მთავრობის დამსახურება, რომელმაც ამ მეტად მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია. ვულოცავ ჩვენს მთავრობასა და ჩვენს ქვეყანას, რადგან ეს არის მკაფიო მესიჯი მთელი მსოფლიოსთვის, თუ როგორ ქვეყანას ვაშენებთ ჩვენ“,** — აღნიშნა პრემიერმა ჟურნალისტებთან საუბრისას. მისივე თქმით, საქართველოს მთავრობა გააგრძელებს რეფორმებს და ქვეყნის სტაბილურ განვითარებას.

ეკონომიკის მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა აღნიშნა, რომ მსოფლიო ბანკის ანგარიში ქვეყანაში ახალი ინვესტიციების მოზიდვის წინაპირობაა: **„მსოფლიო მმართველობის ექვსივე მაჩვენებლიდან კიდევ ერთხელ დასტურდება საქართველოს მთავრობის სწორი პოლიტიკა ბოლო წლების განმავლობაში, რაც, გარდა ამ კვლევისა, ასახულია სხვა ავტორიტეტულ რეიტინგებშიც. ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოს პროგრესი აქვს ყველა მიმართულებით. ეს არის ძალიან ბევრი ორგანიზაციის კვლევა, რომლიდანაც საბოლოოდ გამოდის ერთი შეწონილი ქულა ყველა იმ კონკრეტული მიმართულებით, ეს არის ერთ-ერთი ყველაზე სანდო რეიტინგი, რომელიც მსოფლიოში ქვეყნდება მმართველობის შესაფასებლად“,** — განაცხადა მინისტრმა. ქუმსიშვილის შეფასებით, ჯამში, ეს ნიშნავს იმას, რომ მთავრობა მუშაობს ეფექტურად: **„ჩვენ არ გვაქვს კორუფცია ქვეყანაში და ვართ სწორ გზაზე, ჩვენ არ გვაქვს ქვეყანაში ძალადობა და არის კანონის უზენაესობა. შესაბამისად, საბოლოო ჯამში, ეს არის საწინდარი იმისა, რომ ქვეყანაში მოვახერხოთ და მოვიზიდოთ უფრო მეტი ინვესტიციები, შევქმნათ ჩვენი მოსახლეობის ღირსეული საცხოვრებელი პირობები და მოვახდინოთ ბიზნესის განვითარების სტიმულირება“.**

იუსტიციის მინისტრის, **თეა წულუკიანის** განცხადებით კი, მსოფლიო ბანკის ანგარიშში აღნიშნულია საქართველოსთვის ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი 1996 წლის შემდეგ კანონების უზენაესობისა და კანონების ხარისხის მხრივ.

„ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ თავმჯდომარემ ლევან ავალიშვილმა მსოფლიო ბანკის ანგარიშის შეფასებისას განაცხადა, რომ სხვა ქვეყნების ინდექსებთან შედარებისას ნათლად ჩანს საქართველოს სწრაფი და მართებული გზით განვითარების პროცესი. ავალიშვილის თქმით, გარდა იმისა, რომ საქართველო ყველა ინდიკატორის მიხედვით ლიდერია რეგიონში. რეფორმების და ეფექტური მმართველობის მხრივ ევროპის რამდენიმე ქვეყანასაც უსწრებს.

მსოფლიო მმართველობის გრძელვადიანი კვლევა Worldwide Governance Indicators მსოფლიო ბანკმა 25 სექტემბერს გამოაქვეყნა. დოკუმენტი 1996-2014 წლების პერიოდს მოიცავს.

200 ქვეყანას შორის, სადაც კვლევის მიხედვით მმართველობის 6 ჯამური ინდიკატორია მოცემული, საქართველოს პოზიციები მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულია.

ინდიკატორები მოიცავს:

1) გამოხატვის უფლება და ანგარიშვალდებულება;
2) პოლიტიკური სტაბილურობა და ძალადობის/ტერორიზმის აღმოფხვრა;
3) მთავრობის ეფექტიანობა;
4) რეგულირების ხარისხი;
5) კანონის უზენაესობა;
6) კორუფციის კონტროლი.

აღსანიშნავია, რომ 2012 წლიდან მოყოლებული საქართველოს პოზიციები ექვსივე ინდიკატორში უმჯობესდებოდა, ხოლო 2014 წლის მონაცემების მიხედვით უკლებლივ ყველა მაჩვენებელი ისტორიულად მაღალია და გაუმჯობესების ტემპი ერთ-ერთი ყველაზე სწრაფია მსოფლიოში.

მმართველობის ექვსივე მაჩვენებლიდან კიდევ ერთხელ დასტურდება საქართველოს მთავრობის სწორი პოლიტიკა ბოლო წლების განმავლობაში, რაც გარდა ამ კვლევისა, ასახულია სხვა ავტორიტეტულ რეიტინგებშიც.

მმართველობა თავის თავში გულისხმობს იმ ტრადიციებსა და ინსტიტუციებს, რომელთა საშუალებითაც ხორციელდება ხელისუფლება სახელმწიფოში. აღნიშნული კი მოიცავს ქვეყანაში არსებულ იმ სისტემას, რომლის საშუალებითაც აირჩევა და ხორციელდება ხელისუფლება, ასევე, ხელისუფლების უნარს, ჩამოაყალიბოს და დანერგოს ეფექტური რეფორმები, მოსახლეობის ნდობას აღნიშნული პროცესებისადმი და სხვა. გლობალური მმართველობის ინდიკატორებით (World Governance Indicators) ხდება მონაწილე სახელმწიფოთა მმართველობის სხვადასხვა ასპექტის შეფასება, რომელიც სრულად ეფუძნება სხვადასხვა გლობალურ რეიტინგებსა და შეფასებებს (მაგ. Freedom House, IREX Media Sustainability Index, Open Budget Index, World Justice Project და ა.შ. სულ 32). აღნიშნული გლობალური რეიტინგების აგრეგაციის გზით ხდება ახალი ერთიანი მაჩვენებლების მიღება.



უფრო კონკრეტულად, საქართველო თითოეული ინდიკატორის მიხედვით ამგვარად ფასდება:

**1. გამოხატვის უფლება და ანგარიშვალდებულება:** 2012 წელს 49.8 ხოლო 2014 წელს 55.7 (გაუმჯობესება 5.9 პუნქტი); საქართველო **ლიდერია რეგიონის ქვეყნებში. ამ ინდიკატორით** ფასდება ხელისუფლების არჩევის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობა, სიტყვის, მედიის, შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება.

**2. პოლიტიკური სტაბილურობა და ძალადობის/ტერორიზმის აღმოფხვრა:** 2012 წელს 26.4 ხოლო 2014 წელს 35.9 (გაუმჯობესება 9.5 პუქნტი); ეს ინდიკატორი აფასებს მმართველობის ძალადობრივი გზით შეცვლის ალბათობას, ისევე როგორც ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლისა და ძალადობის აღმოფხვრის მიზნით განხორციელებულ ქმედებებს.

**მთავრობის ეფექტიანობა:** 2012 წელს 69.9 ხოლო 2014 წელს 71.6 (გაუმჯობესება 1.7 პუნქტი); **ლიდერი რეგიონის ქვეყნებში,** მთავრობის ეფექტიანობის რეიტინგში საქართველო, გარდა რეგიონის ქვეყნებისა, **უსწრებს ევროკავშირის ისეთ ქვეყნებს როგორიცაა: იტალია, ბულგარეთი, საბერძნეთი, რუმინეთი. ამ ინდიკატორით** ფასდება სახელმწიფო სერვისების ეფექტურობა, საჯარო სამსახურის ხარისხი და პოლიტიკური დამოუკიდებლობა.

**რეგულირების ხარისხი:** 2012 წელს 72.7 ხოლო 2014 წელს 79.3 (გაუმჯობესება 6.6 პუნქტი); საქართველო **ლიდერია რეგიონის ქვეყნებში** და ასევე **უსწრებს ისეთ ქვეყნებს როგორიცაა: ესპანეთი, იტალია, პორტუგალია, ბულგარეთი, რუმინეთი, სლოვაკეთი, საბერძნეთი, უნგრეთი. ეს ინდიკატორი აფასებს** სახელმწიფოს უნარს, შეიმუშაოს და გაატაროს რეფორმები კერძო სექტორის განვითარების მიზნით.

**კანონის უზენაესობა:** 2012 წელს 54.5 ხოლო 2014 წელს 64.4 (გაუმჯობესება 9.8 პუნქტი); **ლიდერი რეგიონის ქვეყნებში,** კანონის უზენაესობის რეიტინგში საქართველო უსწრებს ევროკავშირის წევრ ქვეყნებს რუმინეთსა და ბულგარეთს. ამ ინდიკატორით ფასდება მთავრობის მოქმედებების კანონის ნორმებთან შესაბამისობა, სასამართლო ხელისუფლების პატივისცემა, ყურადღება მახვილდება სამართალდარღვევათა და დანაშაულის სტატისტიკაზე.

**კორუფციის კონტროლი:** 2012 წელს 64.1 ხოლო 2014 წელს 75.5 (გაუმჯობესება 11.4 პუნქტი). **ლიდერი რეგიონის ქვეყნებში,** კორუფციის კონტროლის რეიტინგში საქართველო **უსწრებს ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა: ესპანეთი, იტალია, პოლონეთი, ლიტვა, ლატვია, ბულგარეთი, სლოვაკეთი, საბერძნეთი. ეს ინდიკატორი აფასებს** მმართველი ძალების მიერ საკუთარი უფლებამოსილების გამოყენების პრაქტიკას პირადი ინტერესებისთვის. შეფასება მოიცავს როგორც კორუფციას ქვედა დონეზე, ასევე ელიტური კორუფციის შეფასებას.

როგორც კვლევამ აჩვენა, საქართველოს მნიშვნელოვანი პროგრესი აქვს მიღწეული გლობალური მმართველობის ყველა ინდიკატორში. მსოფლიო მასშტაბით საქართველოს პირველი ადგილი უკავია განვლილი პროგრესის მხრივ ისეთ სფეროებში, როგორიცაა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა და რეგულირების ხარისხი (რომლითაც ფასდება სახელმწიფოს უნარი შეიმუშაოს და გაატაროს რეფორმები კერძო სექტორის განვითარების მიზნით).

აუცილებელია, ხაზი გაესვას იმასაც, რომ რიგ ინდიკატორებში საქართველო არ ჩამოუვარდება ცენტრალური და სამხრეთ ევროპის ისეთი ქვეყნების შეფასებებს, როგორიცაა ჩეხეთი, სლოვაკეთი, იტალია, საბერძნეთი, მაკედონია, უნგრეთი, ბულგარეთი და სხვა.

ვერსიანიუსი

## თაღლითობის მცდელობის ფაქტზე ერთი მოქალაქე დააკავეს



საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, თაღლითობის მცდელობის ფაქტზე, რასაც შეეძლო მნიშვნელოვანი ზიანი გამოეწვია, საქართველოს მოქალაქე ოთარ ც. დააკავეს.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ ოთარ ც. აფხაზეთიდან დევნილ ცოლ-ქმარს, საქართველოს განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში სამეგობრო წრის დახმარებით, ამავე სამინისტროს დევნილთა საცხოვრებელი სახლებით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში ბინის მისაღებად საჭირო ქულების მომატებას დაჰპირდა, რის სანაცვლოდ მოითხოვა ფულადი თანხა 8000 ლარი. ქულების მიღების მიზნით, ოთარ ც-მ დევნილი ცოლ-ქმარი მიიყვანა თბილისში მდებარე ორ კლინიკაში, ნაცნობ ექიმებთან, სადაც მათ ჩაუტარდათ სამედიცინო შემოწმება, რომლის საფუძველზე გასცეს ყალბი სამედიცინო ცნობები — ფორმა №100, რომელთა მიხედვით აღნიშნულ პირებს თითქოს აღენიშნებათ ფილტვების ქრონიკული დაავადება. მათივე ინფორმაციით, 2015 წლის 28 სექტემბერს ოთარ ც-მ აიღო მის მიერ მოთხოვნილი თანხა 8000 ლარი, რა დროსაც იგი ბრალდებულის სახით დააკავეს. გამოძიება მიმდინარეობს თაღლითობის მცდელობის ფაქტზე, რასაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ზიანი გამოეწვია (საქართველის სსკ-ს კოდექსის 19 -180-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, რაც სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთას ვადით 4-დან 7 წლამდე ითვალისწინებს). გამოძიებას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო აწარმოებს. გამოძიება გრძელდება და დადგება ყველა იმ პირის პასუხისმგებლობის საკითხი, ვის ქმედებებშიც დანაშაულის ნიშნები გამოიკვეთება.

## ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის დედაქალაქში მდებარე ციხიდან ყველა პატიმარი გაიქცა

ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის დედაქალაქ ბანგიში მდებარე ციხიდან ყველა პატიმარი გაიქცა. „ბიბისის“ ინფორმაციით, ნგარაბას ციხე 500-ზე მეტმა პატიმარმა დატოვა. მომხდარის სხვა დეტალები უცნობია. ბანგიში სისხლიანი დაპირისპირება გრძელდება. ადგილობრივი მუსლიმებისა და ქრისტიანების დაპირისპირების შედეგად 42-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა. „ასოშიეითედ პრესის“ ინფორმაციით, არეულობა ქვეყანაში მას შემდეგ დაიწყო, რაც ქრისტიანებით დასახლებულ ერთ-ერთ რაიონში მუსლიმის ცხედარი იპოვეს. ადგილობრივი მუსლიმები რელიგიურ ნიადაგზე ქრისტიანებს დაუპირისპირდნენ. ქვეყანაში შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამო, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის პრეზიდენტს კატრინ სამბა-პანზას გაერო-ს გენერალური ასამბლეის დატოვება მოუწია. 2014 წლის აპრილში გაეროს უშიშროების საბჭომ ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში 12 000 მშვიდობისმყოფელის გაგზავნის გადაწყვეტილება მიიღო. სამშვიდობო მისიის წევრთა მთავარი ამოცანა მოსახლეობის დაცვა, დროებითი მთავრობის მხარდაჭერა, შეიარაღებული ბანდფორმირებების განიარაღება და ჰუმანიტარული დახმარების გაწევაა. ვითარება ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში 2013 წლის დეკემბერში გამწვავდა, როცა დედაქალაქ ბანგიში ისლამისტური დაჯგუფება „სელეკას“ მებრძოლები ადგილობრივ ქრისტიანებს დაუპირისპირდნენ. გაეროს მონაცემებით, კონფლიქტის შედეგად 1 000-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა.

*„ინტერპრესნიუსი“*

# დაპირისპირება ფქვილის ბაზარზე

## რატომ გაძვირდა 1 ტომარა ფქვილი საქართველოში და რაში ადანაშაულებს „წისქვილკომბინატების ასოციაცია“ საქართველოს პარლამენტს



მაია მიშელაძე
593-51-90-12

**ბოლო სამი თვის განმავლობაში საქართველოში 1 ტომარა ფქვილი 37-დან 44 ლარამდე გაძვირდა. სექტემბრის დასაწყისში, ამას მეპურეების პროტესტი მოჰყვა, რომლებიც ქვეყნის მასშტაბით, პურის გაძვირებას არ გამორიცხავდნენ. პარალელურად, საერთაშორისო ბაზრებზე ხორბალი იაფდება, ბოლო 7 წლის მანძილზე, წელს, ხორბლის უპრეცედენტოდ დაბალი ფასი დაფიქსირდა. რა ხდება ხორბლისა და ფქვილის ბაზარზე საქართველოში? რა აჟიოტაჟი ატეხეს ფქვილის იმპორტიორებმა? რატომ ითხოვენ ხორბლის იმპორტიორები, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტომ ფქვილის ბაზარზე არსებული მონოპოლიური მდგომარეობა შეისწავლოს?**

### რატომ გაძვირდა 1 ტომარა ფქვილი

„ვერსიის“ წყაროს ინფორმაციით, აჟიოტაჟი მიმდინარე წლის ივლის-აგვისტოში ატყდა, როდესაც საბაჟო გამშვებ პუნქტზე, ფქვილის ხარისხის შემოწმების მიზნით, რუსეთიდან დიდი ოდენობით იმპორტირებული პროდუქცია გააჩერეს. ფქვილის ხარისხის შემოწმება დროში ისე გაიწელა, შემომტანებს სერიოზული პრობლემები შეექმნათ, რის გამოც რუსეთიდან იმპორტირებული ფქვილის რაოდენობა შემცირდა და 1 ტომარა ფქვილი 37-დან, 44 ლარამდე გაძვირდა. პარალელურად, პურის მწარმოებლებიც მძიმე მდგომარეობაში ჩაცვივდნენ, ტარიფების გაძვირებას მთავარი ნედლეულის — ფქვილის ფასის ზრდაც დაემატა, რის გამოც იძულებულები გახდნენ, განეცხადებინათ, რომ პურსაც გააძვირებდნენ.

ფქვილის იმპორტიორებისა და მეპურეების პროტესტი წისქვილკომბინატების წარმომადგენლებმა და ხორბლის იმპორტიორებმა თავიდანვე შანტაჟად შეაფასეს. მათი განცხადებით, საქართველოში 1 ტომარა ფქვილი ლარის დევალვაციის გამო გაძვირდა. თუმცა ისიც განმარტეს, რომ წლების წინ, როდესაც 1 ტომარა ფქვილი 49-დან 37 ლარამდე გაიაფდა, მეპურეებს საქართველოში პური არ გაუიაფებიათ. ვითარება სექტემბრის შუა რიცხვებში განიმუხტა, შემოწმებები დასრულდა და მეპურეებმა პურის გაძვირება გადაიფიქრეს.

„ვერსიის“ წყაროს ინფორმაციით, საქართველოში ხორბლისა და ფქვილის ბაზარი მონოპოლიურია. ხორბლის მსხვილი იმპორტიორია კომპანია „აგრიკომი“, რომლის დამფუძნებელი კოკი ოსიპოვია. მან ბაზარზე მონოპოლია ნაცმოძრაობის მაღალჩინოსნების დახმარებით მოიპოვა და ბაზარზე ერთადერთ იმპორტიორად დარჩა. ამ პროცესს საქართველოში არსებული წისქვილკომბინატების გაკოტრება მოჰყვა, რასაც ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლების პირობებში, გაუთავებელი საგადასახადო შემოწმებები და უზარმაზარი ჯარიმებიც დაემატა და შედეგად, ქართული წისქვილკომბინატები, ერთმანეთის მიყოლებით, აზერბაიჯანელი ინვესტორის, აზიმ კასუმოვის ხელში აღმოჩნდა. კასუმოვის კომპანიები „კარმენი“ და „კარატი“ — ფქვილის ბაზრის, ხოლო „აგრიკომი“ — ხორბლის ბაზრის მონოპოლისტებად იქცნენ.

წყარო გვიამბობს, რომ 2012 წლის შემდეგ, როდესაც საქართველოში ხელისუფლება შეიცვალა, ხორბლის ბაზარზე ვითარება მეტ-ნაკლებად დარეგულირდა და აზერბაიჯანულთან ერთად, სხვა, ქართული კომპანიებიც გამოჩნდნენ. თუმცა კოკი ოსიპოვმა მთავრობაშიც დაიწყო დასაყრდენის ძიება, წყაროს ინფორმაციით, სწორედ ოსიპოვმა ურჩია საქართველოს პრემიერ-მინისტრს, რომ ხარისხის შემოწმების მიზნით, ივლის-აგვისტოში, რუსეთიდან იმპორტირებული ფქვილი საბაჟოზე გაეჩერებინათ: **„სწორედ ამიტომ გაძვირდა 1 ტომარა ფქვილი. კოკი ოსიპოვს ფქვილის გაიაფება არ აწყობს, რადგან დღემდე მისი პარტნიორია ზარალა (გიორგი რამიშვილი) და ნაციონალ ლიდერებთანაც კარგი ურთიერთობა აქვს. მეტიც, ხორბლის ბაზარზე, „სვანური კლანიც“ მოქმედებს, რომელსაც გოდერძი ჩანქსელიანი ხელმძღვანელობს, რომელიც ოსიპოვს ზურგს უმაგრებს“.**

### რა ხდება ხორბლისა და ფქვილის ბაზარზე

თავდაპირველად, „ვერსიის“ წყაროს ინფორმაცია „წისქვილკომბინატების ასოციაციის“ ხელმძღვანელთან, **ლევან სილაგავასთან** გადავამოწმეთ. მისი თქმით, იმპორტირებული საკვები პროდუქტის ხარისხი „სურსათის უვნებლობის“ შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე მოწმდება და ამაში უჩვეულო არაფერი ყოფილა. ლევან სილაგავას განმარტებით, ამ ტიპის შემოწმება საერთაშორისო რეგულაციაა და მსოფლიო მასშტაბით, შესაბამისი უწყებები სწორედ ასე ამოწმებენ საკვებ პროდუქტს. ფქვილი კი, სილაგავას განმარტებით, ლარის დევალვაციის გამო გაძვირდა: **„ფქვილის ღირებულების 80%-ს, სწორედ ხორბლის ფასი განსაზღვრავს, რომელსაც დოლარში ვყიდულობთ. მაშინ, როდესაც 1 ტომარა ფქვილი 37 ლარი ღირდა, 1 აშშ დოლარი 1.76 ლარი იყო. 37 ლარი რომ 1.76-ზე გავყოთ, 21 აშშ დოლარს მივიღებთ. დღეს 1 ტომარა ფქვილი 43-44 ლარია, ახლანდელი კურსით, 1 აშშ დოლარი 2.39 ლარია, შესაბამისად, ჯამში 17 დოლარი გამოდის. ფასში განსხვავებას თქვენც ნათლად ხედავთ, მაგრამ 37 ლარის შემთხვევაში არსებული 21 დოლარი, დღევანდელი კურსით, 49 ლარია, ამიტომ 1 ტომარა ფქვილი 49 ლარი უნდა ღირდეს. საერთაშორისო ბაზრებზე ხორბალი გაიაფდა, მაგრამ წარმოუდგენელია, რომ საქართველოში იმპორტირებული ფქვილი, ხორბლის ფასად იყიდებოდეს! რუსეთიდან საკმაოდ იაფად შემოდის ფქვილი, რადგან იქაური მწარმოებლები საგადასახადო შეღავათებით სარგებლობენ. ხშირ შემთხვევაში, ფქვილის იმპორტიორებს კომპანიები სწორედ რუსეთის მოქალაქეებზე აქვთ გაფორმებული, რათა პროდუქცია იაფად შემოიტანონ. სწორედ ამიტომ ვითხოვთ, რაც შეიძლება მალე მივიღოთ ანტიდემპინგური კანონი, რომელიც ადგილობრივ წარმოებას დაიცავს. ეს კანონი პარლამენტშია შეტანილი, მაგრამ მისი განხილვა ჭიანურდება“.**

რაც შეეხება აზერბაიჯანული „კარმენისა“ და „კარატის“ მონოპოლიურ მდგომარეობას ფქვილის ბაზარზე, ლევან სილაგავამ „ვერსიასთან“ საუბრისას აღნიშნა, რომ აზერბაიჯანელი ინვესტორი ბაზრის მონოპოლისტად ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლების პირობებში იქცა. თუმცა მისი თქმით, დღეს ამ ბაზარზე დაახლოებით, 12 წისქვილკომბინატი მუშაობს, მათ შორის ჯანსაღი კონკურენციაა და დღეს, ბაზარზე აზიმ კასუმოვის წილი, 70%-დან, 25%-მდე შემცირდა. მიუხედავად ამისა, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო ამ ბაზარზე არსებულ მდგომარეობას იკვლევს და ლევან სილაგავას ინფორმაციით, სააგენტო ოფიციალურ დასკვნას 10 ოქტომბრამდე მოამზადებს.

საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარემ, **ზურაბ ტყემალაძემ** „ვერსიას“ განუცხადა, რომ ანტიდემპინგური კანონი, რომელიც მისი ინიცირებულია პარლამენტში, კანონით დადგენილ პროცედურებს გადის: **„განხილვა არ ჭიანურდება. შესაბამისი ორგანიზაციების ჩართულობით, ჩვეულებრივ, საკანონმდებლო პროცედურებს გავდივართ. შეუძლია, „წისქვილკომბინატების ასოციაციამაც“ გაგვიზიაროს პოზიცია“.**

### ხორბლის ბაზრის მსხვილი მოთამაშეები

„ვერსიის“ წყაროს ინფორმაცია ხორბლის ბაზრის ე.წ. სვანური კლანის ხელმძღვანელ **გოდერძი ჩანქსელიანთან** გადავამოწმეთ, რომელიც შპს „ბევრილი ჯგუფის“ დამფუძნებელია:

**— ბატონო გოდერძი, „ვერსიის“ წყაროს ინფორმაციით, ხორბლის ბაზარზე „აგრიკომი“ მონოპოლისტ კომპანიად სახელდება, რომელსაც „სვანური კლანი“ ანუ თქვენ უმაგრებთ ზურგს, ასეა?**

— არ ვიცოდი, ამხელა შესაძლებლობა თუ მქონდა და თანაც ხალხს ზურგს ვუმაგრებ კიდეც! პირდაპირ გეუბნებით, ხორბლის ბაზარზე მონოპოლია არ არსებობს. წინა ხელისუფლების პირობებში, ბაზრის დომინანტი აზერბაიჯანული კომპანია იყო, მაგრამ დღეს აღარ არის. კოკი ოსიპოვთან ჩვეულებრივი, საქმიანი ურთიერთობა მაქვს, „სვანური კლანის“ შესახებ ინფორმაცია კი გადაჭარბებულია — არავითარი „სვანური კლანი“ არ არსებობს ჩემი მეთაურობით. მთავარი პრობლემა ფქვილის ფასია. ყველაზე დიდი უბედურება ისაა, რომ ქართველი მეწარმეები საერთოდ არ არიან დაცულები, რადგან შემოდის იაფფასიანი ფქვილი, კონკურენციას ვერ ვუწევთ და ფაქტობრივად, გაჩერების პირას ვართ. მიმაჩნია, რომ ფქვილის იმპორტზე საბაჟო გადასახადი უნდა დაწესდეს.

„ვერსია“ შპს „აგრიკომის“ დამფუძნებელს, **კოკი ოსიპოვს** დაუკავშირდა:

**— ბატონო კოკი, „ვერსიის“ წყაროს ინფორმაციით, ხორბლის ბაზარზე თქვენი მონოპოლისტობა 2007 წლიდან დაიწყო, როდესაც „აგრიკომისა“ და აზერბაიჯანული „კარმენის“ სახით ორი მსხვილი მონოპოლისტი კომპანია შეიქმნა. როგორ გაიყავით ეს ბაზარი?**

— მე და „ვერსიამ“ გავიყავით ბეჭდვითი სივრცე საქართველოში — აი, ზუსტად ამ შინაარსის კითხვა დამისვით... მე ვარ ხორბლის შემომტანი, ხოლო „კარმენი“ და „კარატი“, რომლებიც ნამდვილად დომინანტები იყვნენ, ფქვილის მწარმოებლები არიან. ხორბლის იმპორტი და ფქვილის წარმოება, სხვადასხვა სფეროა და შესაბამისად, მე და „კარმენი“ ვერანაირად ვერ ვიქნებით ერთ მოედანზე.

**— რა ურთიერთობა გქონდათ ნაციონალ მაღალჩინოსნებთან, ამ ბაზრის გადანაწილების მონოპოლიური სქემა თქვენ შესთავაზეთ?**

— არა, ნაციონალური მოძრაობა ხორბლის ბიზნესში არ ერეოდა, მაგრამ არსებობს ვერსია, რომ აზერბაიჯანულ კომპანიებთან გარკვეული ურთიერთობა ჰქონდათ. თუმცა ეს არ არის დაზუსტებული და მხოლოდ ვერსიის დონეზე გეუბნებით. ჩემს სფეროში, ანუ ხორბლის ტრეიდინგში, ნაციონალური მოძრაობა არასდროს ჩარეულა.

**— გამოდის, ნაციონალური მოძრაობის ანგარიშზეც არ შეგქონდათ გარკვეული თანხა?**

— ნაციონალური მოძრაობის სხვადასხვა ფონდში თანხა შემქონდა ისევე, როგორც ასეულობით სხვა მეწარმე-სუბიექტს საქართველოში.

**— ანუ, კოკი ოსიპოვი ნაცმოძრაობის ერთ-ერთი მთავარი დამფინანსებელი არ ყოფილა?**

— არა, მაგრამ გაცილებით მეტი ადამიანი ამბობს, რომ უფრო „ქართული ოცნების“ დამფინანსებელი ვარ.

**— „ოცნებაზეც“ გკითხავთ, ოღონდ ჯერ ნაციონალური მოძრაობის თემა ამოვწუროთ. „ზარალა“ ანუ გიორგი რამიშვილი თქვენი პარტნიორია?**

— გიორგი რამიშვილი ჩემი პარტნიორია, ოღონდ არა საქართველოში. სხვადახვა საერთაშორისო პროექტში ვთანამშრომლობთ. მაგალითად, გავდივართ ირანში, სადაც მას ლოგისტიკური კომპანია აქვს და მათი მომსახურებით ვსარგებლობ.

**— რაც შეეხება „ქართულ ოცნებას“, თქვენ დაარწმუნეთ ბიზნესომბუდსმენი გიორგი გახარია, პრემიერ-მინისტრისთვის ერჩია, ივლის-აგვისტოში, საბაჟოზე ხორბლისა და ფქვილის იმპორტი შეეჩერებინა, რადგან არ გაწყობთ, საქართველოში ხორბალი და ფქვილი გაიაფდეს? რა ურთიერთობა გაქვთ გიორგი გახარიასთან?**

— საქართველოში არასამართლიან ფასად არც ერთი პროდუქტი არ უნდა იყიდებოდეს, რადგან ეს ადგილობრივ წარმოებას ანგრევს! მით უმეტეს, როდესაც საქართველოში წისქვილინდუსტრია ერთ-ერთი თვითმყოფადი, მაღალი ხარისხისაა და მისი დანგრევა არ შეიძლება. განსაკუთრებით იაფფასიანი ფქვილი არ უნდა შემოდიოდეს, რადგან საქართველოს აქვს უნარი, უკეთეს პირობებში, უკეთესი ხარისხის ფქვილი აწარმოოს. არ შეიძლება, იმპორტირებულ ფქვილსა და ხორბალს ერთი ფასი ჰქონდეს, ეს დანაშაულია! რაც შეეხება გიორგი გახარიას, პირადად არ ვიცნობ, მაგრამ მეხორბლეთა ასოციაციის ეგიდით გამართულ ღონისძიებებზე ორჯერ შევხვდი.

ვერსიანიუსი

## თბილისს ევროკავშირის ექსპერტთა შემფასებელი მისიები ეწვივნენ



საქართველო-ევროკავშირის სავიზო დიალოგის ფარგლებში, 2 ოქტომბრის ჩათვლით, თბილისს ევროკავშირის ექსპერტთა შემფასებელი მისიები ვიზიტით ეწვივნენ.

მათი მიზანი სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის მოთხოვნების იმპლემენტაციის კუთხით მიღწეული პროგრესის შეფასებაა. მისიები მოიცავს შემდეგ ოთხ მიმართულებას: მიგრაცია, თავშესაფრის პოლიტიკა, ტრეფიკინგი და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა.

ექსპერტთა შეხვედრები ძირითადად, საქართველოს იუსტიციის, ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა, შინაგან საქმეთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის, საგარეო საქმეთა სამინისტროებსა და ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატში სხვა კომპეტენტური უწყებების მონაწილეობით გაიმართება.

ექსპერტთა შემფასებელი მისიების შედეგების საფუძველზე, ევროკომისია, აღნიშნულ სფეროებში, საქართველოს მიერ განხორციელებული პროგრესის თაობაზე, მე-4 ანგარიშს მოამზადებს, რომელიც, სავარაუდოდ, მიმდინარე წლის ბოლომდე გამოქვეყნდება.

*„პირველი“*

# სკოლებში საგანგებო შტაბები იქმნება

## რა სიახლეებით შეხვდა ახალ სასწავლო წელს მანდატურის სამსახური



ნინო ლურსმანაშვილი
593-51-52-04

**4-10 ოქტომბერს საქართველოს მანდატურის სამსახური, ამერიკის სკოლის მანდატურთა ეროვნული ასოციაციის (NASRO) წარმომადგენლებს უმასპინძლებს. დაგეგმილი კონფერენციის ფარგლებში, ჩვენ მანდატურებს ამერიკელები ტრენინგებს ჩაუტარებენ. კონფერენცია, ცხადია, სკოლებში უსაფრთხოებას ეხება. ამ საკითხს მანდატურის სამსახურმა, სხვა შესაბამისი სტრუქტურების წარმომადგენლებთან ერთად, წინა წელს, რეკომენდაციების მთელი ციკლი მიუძღვნა. მათი გათვალისწინება-განხორციელება კი, მიმდინარე სასწავლო წელსაა დაგეგმილი. იმის შესახებ, კონკრეტულად რა სიახლეებით შეხვდა ახალ სასწავლო წელს მანდატურის სამსახური და სამომავლოდ რაა დაგეგმილი, „ვერსიას“, ხელმძღვანელი ვახტანგ მეიფარიანი უამბობს.**

**— სასწავლო წელს რა კონკრეტული სიახლეებით ხვდებით? როგორც ჩვენთვისაა ცნობილი, სკოლებში საგანგებო შტაბების შექმნა იგეგმება...**

— გარკვეული სიახლეები გვაქვს. საგანმანათლებლო დაწესებულებებში უსაფრთხოების გაძლიერების, ბუნებრივი და სხვა ტიპის საგანგებო სიტუაციებში მოსწავლეების ქცევის მართვისა და მოზარდების დისციპლინური დარღვევების პრევენციის მიზნით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის, საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოსა და საჯარო სკოლების ჩართულობით, რეკომენდაციები შემუშავდა. რეკომენდაციების მიზანი, საჯარო სკოლებში უსაფრთხოების სისტემების გაუმჯობესებაა. ერთ-ერთი რეკომენდაცია შეეხება საჯარო სკოლებში საგანგებო შტაბების შექმნას, რომლის შემადგენლობაში მანდატურთან ერთად, სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლები და პედაგოგები შევლენ. სხვა სიახლეებთან ერთად გვაქვს მანდატურის სამსახურის გაფართოების გეგმაც, რომლის მიხედვით მანდატურის სამსახური მოიცავს საქართველოს ყველა საჯარო სკოლას. მოსწავლეების ფსიქოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით შეიქმნა ფსიქოლოგიური ცენტრები და იგეგმება დამატებით ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრების გახსნა. აგრეთვე, წარმატებით მუშაობს მანდატურის სამსახურის პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამა.

**— დღეს მანდატური რამდენ სკოლაშია წარმოდგენილი?**

— ამჟამად, მანდატურის სამსახური 410 საჯარო სკოლაშია წარმოდგენილი. 2014-2015 სასწავლო წლის მეორე სემესტრში, განვითარების გეგმის მიხედვით, კიდევ 15 საჯარო სკოლაში შევალთ, მიმდინარე სემესტრში კი, თითქმის ამდენივე საჯარო სკოლაში იქნება წარმოდგენილი ჩვენი სამსახური.

**— მოთხოვნა კერძო სკოლებიდანაც არის?**

— დიახ... ჯერჯერობით 3 კერძო სკოლას, 2 პროფესიულ სასწავლებელსა და 1 უნივერსიტეტს ვემსახურებით. სხვა კერძო სკოლების სურვილის შემთხვევაში, მზად ვართ, მათაც გავუწიოთ მომსახურება.

**— საგანგებო შტაბს რა ევალება და მასში ახალ მანდატურს დაამატებთ თუ სკოლაში მოქმედს?**

— მოქმედი მანდატურები უკვე გადამზადებულები არიან საგანგებო სიტუაციების სამსახურში. ახალი მანდატურის შტატი არ დაემატება. უბრალოდ, ამ შტაბში, მასთან ერთად, სკოლის წარმომადგენლებიც შევლენ, რადგან მარტო მანდატური ვერ შეძლებს ეფექტური ევაკუაციის განხორციელებას სტიქიური უბედურებების დროს. საგანგებო სიტუაციების შტაბში მანდატურის ფუნქცია საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაა. მნიშვნელოვანია, რომ მიმდინარე სემესტრში ვიწყებთ სასწავლო განგაშის ჩატარებას.

**— რას ნიშნავს სასწავლო განგაში, ბავშვებს ასწავლით, როგორ მოიქცნენ სტიქიური უბედურებების დროს?**

— სასწავლო განგაშის დროს ხდება საგანგებო სიტუაციის იმიტაცია. ამაში საგანგებო სიტუაციების დეპარტამენტი გვეხმარება. მოსწავლე, რომელსაც წელიწადში რამდენიმე სასწავლო განგაშში ექნება მონაწილეობა მიღებული, საგანგებო სიტუაციებს ბევრად მომზადებული შეხვდება, რაც საბოლოოდ, შეამცირებს ზიანის რისკს.

**— საგანგებო შტაბების ამოქმედება დამატებით ხარჯთანაა დაკავშირებული?**

— არა. საგანგებო შტაბების შექმნა საჯარო სკოლებში არანაირ დამატებით დანახარჯს არ მოითხოვს.

**— რეკომენდაციები კიდევ რა საკითხებს ეხებოდა?**

— მაგალითად, რეკომენდაცია შეეხება საჯარო სკოლებში თამბაქოს მოხმარების შემცირების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს, ასევე საჯარო სკოლებში ეფექტური საშვთა სისტემის დანერგვას; ასევე დარღვევების პრევენციას, ბავშვთა გადამისამართების (რეფერირების) საკითხებს და ა.შ.

**— საშვებს ალბათ მშობლებზე ვერ გასცემთ. როგორ გაკონტროლება სკოლის ტერიტორიაზე მათი გადაადგილება?**

— სასურველია, ჩვენს მიერ შემუშავებული რეკომენდაციები შეასრულონ საჯარო სკოლებმა. ჩვენი მიზანია საჯარო სკოლებს მხოლოდ ვურჩიოთ, თუ როგორ იმოქმედონ, რომ გაუმჯობესდეს უსაფრთხოების სისტემა სკოლებში. რაც შეეხება რეკომენდაციას, რომელიც ეხება მშობლებს — სასურველია, სკოლის ადმინისტრაციამ გამოყოს კონკრეტული დრო, როდესაც შეძლებენ მშობლები სკოლის ტერიტორიაზე გადაადგილებას.

**— დაგვიანების შემთხვევაში ზოგ სკოლაში ბავშვებს გაკვეთილზე აღარ უშვებენ. თქვენი რეკომენდაცია როგორია?**

— ამას სკოლის ადმინისტრაცია თავად განსაზღვრავს. ჩვენი რეკომენდაციაა, დაგვიანებული ბავშვი არ იყოს უმეთვალყურეოდ და დაუყოვნებლივ მოხდეს მშობლის ინფორმირება.

**— რამდენად ეფექტურად მუშაობს მანდატურის ფსიქოლოგიური ცენტრი და ძალადობის შემთხვევების ამოცნობა როგორ ხდება?**

— ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია. მანდატურებმა გაიარეს სპეციალური ფსიქოლოგიური გადამზადების კურსი, რომლის მთავარი მიზანია, მანდატურმა შეძლოს ამოიცნოს ძალადობის მსხვერპლი და მოძალადე. ძალადობის მსხვერპლის ამოცნობის შემთხვევაში კი, მანდატური დაუყოვნებლივ ახდენს ბავშვის გადამისამართებას მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრში, რომელიც ძალიან ეფექტურად მუშაობს.

**— მანდატური იმ კუთხითაც გადამზადდა, რომ პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევა შეძლოს. ბევრ სკოლაში ექიმის კაბინეტის აღდგენა მიმდინარეობს. ამის მიუხედავად, მანდატურებს, მომავალში, ამ კუთხით მაინც გადაამზადებთ?**

— ეს ისეთი რამაა, ყველამ უნდა იცოდეს. ძალიან კარგია, სკოლაში ექიმიც თუ იქნება, მაგრამ... შესაძლოა, ექიმის მისვლამდე, პირველადი დახმარება ბავშვს მანდატურმა გაუწიოს. იყო შემთხვევა, როცა მანდატურმა ბავშვი გადაარჩინა. ეს ძალიან ამაღელვებელი იყო. ზოგჯერ, წამებია გადამწყვეტი და პირიქით, უკეთესია, თუ მანდატური, დროს არ დაკარგავს და მოსწავლეს პირველად დახმარებას აღმოუჩენს.

**— ამბობთ, რომ აღნიშნული რეკომენდაციები იმის გამო შემუშავდა, სკოლა მეტად დაცული იყოს. როგორია სტატისტიკა — ბოლო მონაცემებით, შემცირებულია თუ არა დანაშაულის შემთხვევები სკოლაში?**

— ბოლო 2 წლის განმავლობაში, საჯარო სკოლებში დარღვევების რიცხვი 30%-ით შემცირდა და რაც მთავარია, მნიშვნელოვანია, რომ მძიმე დარღვევების რიცხვი ყოველწლიურად იკლებს, თითქმის აღარც ფიქსირდება. ძირითადად, სკოლის შინაგანაწესის დარღვევასთან გვაქვს საქმე, ისეთთან, როგორიცაა, მაგალითად, გაკვეთილზე დაგვიანება, სკოლაში აკრძალული ნივთის, ვთქვათ თამბაქოს არსებობა...

**— შეცვლილია თუ არა უკეთესობისკენ მანდატურისა და მოსწავლეების ურთიერთობა? თავის დროზე, ბევრი ამბობდა, ეს სამსახური ბავშვებში შიშს თესავსო.**

— სწორედ ამგვარი შეხედულების გათვალისწინებით მოხდა მანდატურის სამსახურის ძირეული რეფორმა, რომლის მიხედვით დღეს მანდატური ორიენტირებული არ არის მოსწავლის დასჯაზე ან პედაგოგების კონტროლზე. მანდატურის ძირითადი მოვალეობა მოსწავლისა და სკოლის უსაფრთხოების დაცვა, ძალადობისა და დარღვევების პრევენცია, აგრეთვე დაპირისპირებულ მოსწავლეებს/სტუდენტებს შორის მედიატორის როლის შესრულება, კონფლიქტური სიტუაციის გამოვლენა და კონფლიქტის მოგვარებაა. ჩატარებული რეფორმის შედეგად მანდატურის, მშობლის და სკოლის დირექციის/პედაგოგების კოორდინირებული თანამშრომლობაა სკოლაში უსაფრთხო და დაცული გარემოს შექმნის გარანტი.




## „ვეფხისტყაოსნის“ ახალი, ინგლისური თარგმანი გამოვიდა

ბოლო 40 წლის განმავლობაში, „ვეფხისტყაოსნის“ ახალი, ინგლისური თარგმანი გამოვიდა, რომელიც 16-მარცვლიანი შაირით შესრულებული პირველი პოეტური თარგმანია. მისი პრეზენტაცია 9 ოქტომბერს, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში მოწეყობა.

ახალი გამოცემა გამომცემლობა „პოეზიამ“ მოამზადა. „ვეფხისტყაოსანზე“ მუშაობა მთარგმნელმა, პოეტმა და მწერალმა, ლინ კოფინმა 2012 წელს დაიწყო, ხოლო პწკარედები პროფესორმა დოდონა კიზირიამ შეასრულა. თარგმანის ტექსტს საფუძვლად 1966 წელს „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის მიერ მომზადებული გამოცემა და პროფესორ ნოდარ ნათაძის მიერ კომენტირებული გამოცემა უდევს. შესაბამისად, რედაქტირება პროფესორმა ნოდარ ნათაძემ გაუკეთა.

ლონდონში 4 ოქტომბერს, ქართული ფილმის IV ფესტივალის ფარგლებში, „ვეფხისტყაოსნის“ ახალ თარგმანთან დაკავშირებით, გამოცემის განხილვა გაიმართება, რომელშიც მთარგმნელი ლინ კოფინის გარდა, მონაწილეობას მიიღებენ მწერალი აკა მორჩილაძე და მთარგმნელ-ისტორიკოსი დონალდ რეიფილდი, სტროფებს კი ცნობილი ინგლისელი მსახიობი დაიან ქვიქი წაიკითხავს.

ამერიკელი პოეტი, მწერალი და მთარგმნელი ლინ კოფინი 1943 წელს დაიბადა. დღემდე გამოქვეყნებული აქვს პოეზიის სამი კრებული. მისი ლექსები, ესეები, მოთხრობები და პიესები წლების განმავლობაში იბეჭდება პერიოდულ გამოცემებში. იგი მონაწილეობდა პოეზიის საღამოებში იოსებ ბროდსკისა და ჩესლავ მილოშთან ერთად. გია ჯოხაძის მიერ თარგმნილი მისი ლექსების კრებული 2012 წელს თბილისშიც გამოიცა. ლინ კოფინს მთარგმნელობის მრავალწლიანი და წარმატებული გამოცდილება აქვს. კოფინისეული თარგმანი გამოყენებულია ნობელის კომიტეტის მიერ ჩეხი პოეტის, იაროსლავ სეიფერტისთვის პრემიის მინიჭებისას 1984 წელს; კოფინს ასევე ნათარგმნი აქვს ანა ახმატოვა, ჩეხი, ჰოლანდიელი, მონღოლი და ირანელი პოეტები. რამდენიმე წელია იგი აქტიურად თანამშრომლობს საქართველოსთან. 2013 წელს კიზირიას რედაქტორობით აშშ-ში „ქართული პოეზიის ანთოლოგია“ გამოიცა, რომელშიც ძველი ქართული ლიტერატურის ნიმუშები შევიდა. კოფინმა ასევე თარგმნა თანამედროვე ქართველი მწერლები: დათო ბარბაქაძე, გიორგი კეკელიძე, გივი ალხაზიშვილი და ზაზა აბზიანიძე.

*„პირველი“*

## სამხედრო მოსამსახურეებისთვის კინოჩვენება გაიმართა



„ჯარის მეგობართა საზოგადოების“ პროექტის ფარგლებში საქართველოს შეიარაღებული ძალების ახალციხის ჯავშანსატანკო სასწავლო ცენტრის პირადი შემადგენლობისთვის ფილმ „გაღმა ნაპირის“ ჩვენება მოეწყო.

სამხედრო მოსამსახურეებთან ერთად კინოჩვენებას ფილმში მონაწილე მსახიობი, თედო ბექაური და ნიკა ალაჯაჯიევი დაესწრნენ. ფილმის დაწყებამდე დამსწრეებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს ავღანეთში დაღუპული პირველი კლასის რიგითის, ვასილ ყულჯანიშვილის ხსოვნას.

**„ძალიან საწყენია ქართველი ჯარისკაცის გარდაცვალება. ვუსამძიმრებ მის ოჯახს და მთელ საქართველოს. ჩვენ ჩამოვედით ახალციხეში, რათა გვეჩვენებინა ფილმი, რომელშიც ასახულია აფხაზეთის ომში „დაკარგული“ ბიჭის ისტორია. დიდი მადლობა თავდაცვის სამინისტროს, რომ მომეცა საშუალება, მონაწილეობა მიმეღო ამ ღონისძიებაში“,** — აღნიშნა თედო ბექაურმა.

კულტურულ-შემეცნებითი ღონისძიებები სამხედრო მოსამსახურეებისთვის ინტენსიურად ხორციელდება და მომავალშიც გაგრძელდება.

*„პირველი“*

პატიმარი №0578

# ჩეჩნების „პადდელნიკი“ სახელად მაცი

## წლების წინ გახმაურებული საქმის უცნობი დეტალები



ამ დანაშაულის შესახებ სხვადასხვა გამოცემაში წლების წინ ბევრი დაიწერა. ხან „ხარება და გოგია“ დაარქვეს, ხან სხვა რამ და დიდი გამოხმაურებაც ჰქონდა. საინტერესოა, რომ ყველგან ერთი და იგივე ეწერა, წლების შემდეგ კი გაირკვა, რომ გაზეთებმა სიმართლე არ იცოდნენ და დაწერეს ის, რა ინფორმაციაც შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიაწოდა. დანაშაული მაშინ მოხდა, როცა ედუარდ შევარდნაძე სახლში წავიდა და ახალმა ხელისუფლებამ კრიმინალთან დაუნდობელი ბრძოლა გამოაცხადა...

რუსთავის №17 ზონის მაყურებელ ზვიადს ყველა დიდ პატივს სცემდა. შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი უკანასკნელი იყო, ვინც ძველ „ქურდულ კანონებს“ აღიარებდა და ახლებურად მოაზროვნე „კაიბიჭებს“ ჭკუას ხან სიტყვით, ხან კი მუშტით არიგებდა. ზონაზეც ნორმალური ვითარება იყო და ამიტომაც, გლდანის ციხეში მყოფი პატიმრები, ახლობლებს სთხოვდნენ, ეგებ ისე მოეხერხებინათ, რომ სწორედ რუსთავში მოხვედრილიყვნენ. ასე, ახლობლების „ჩალიჩით“ ამოყო თავი რუსთავის №17 დაწესებულებაში პატიმარმა №0578-მა და იმის გათვალისწინებით, რომ ზვიადთან წლების მეგობრობა აკავშირებდა, მისვლის პირველივე დღიდან არაფერი გასჭირვებია. ზვიადსაც უხაროდა ბავშვობის მეგობრის გვერდით ყოფნა და რაც მთავარია, რაღაცებს ეკითხებოდა ხოლმე.

„გვერდიდან მინდა ეს ყველაფერი დაინახო, როგორია, რამე შეცდომას ხომ არ ვუშვებთ... შენ „კაი ბიჭობაზეც“ არ გაქვს პრეტენზია და თუ რამეს ვამლაშებთ ხოლმე რიგით პატიმრებთან მიმართებაში, არ დამიმალო“, — ეუბნებოდა ზვიადი მეგობარს და ისიც მაქსიმალურად ცდილობდა ვინმეს ვინმე უსამართლოდ არ დაეჩაგრა და ყველას ისე ეგრძნო თავი, უსამართლობის შეგრძნება არ ჰქონოდა; მეტიც, ზონაზე ახლადმოყვანილი პატიმრების კამერებში განაწილებაზე მონაწილეობას პატიმარი №0578 პირადად იღებდა და ზვიადიც უჯერებდა, რადგან №0578-მა მაყურებლებზე არანაკლებ იცოდა, რომელ კამერაში, რა ხდებოდა და ვის სად ეკუთვნოდა მოხვედრა.

ერთ დღესაც პატიმრების ახალი ნაკადი მოიყვანეს. როცა მაყურებლების კამერაში შევიდნენ, ერთ-ერთმა, 50 წელს მიტანებულმა კაცმა ზვიადის დანახვაზე არაადამიანური ხმით იღრიალა და კამერიდან გავარდა.

„არ გაუშვათ“, — ხმამაღლა თქვა ზვიადმა და რამდენიმე „კაიბიჭმა“ ახალი პატიმარი კორიდორში დაიჭირა, კამერაში მოაბრუნა.

„არ მომკლა, გთხოვ, არ მომკლა“, — ამხელა კაცი ლამის ტიროდა.

„კარგი, ნუ შეყარე ქვეყანა. არავინ არაფერს გერჩის. ის მითხარი, რაზე დაგიჭირეს, შე უბედურო?!“ — ჰკითხა ზვიადმა და თან რაღაცნაირად, უცნაურად გაიღიმა.

„ავარია მომივიდა... ორი კაცი მოკვდა და შვიდი წელი მომცეს. გემუდარები ზვიად, ხომ იცი, შენც ასე მოიქცეოდი, სხვა გზა არ მქონდა, ჩემი შვილების ხათრით, შვილიშვილების ხათრით, არ მომკლა“, — ისევ აღრიალდა ახალი პატიმარი და ზვიადმა №0578-ს გახედა. „დაამშვიდე და რომელ კამერაშიც გინდა, იქ შეაგდე. ზედმეტი არავინ არაფერი უთხრას, თორემ ჩემთან ექნება საქმე“, — თქვა ზვიადმა და №0578-მაც ახალ პატიმარს, რომელსაც იშვიათი სახელი, მაცი ერქვა, თვალით ანიშნა, გამომყევიო.

სანამ კამერაში მიიყვანდა, გზაზე მაცის ისე, სასხვათაშორისოდ ჰკითხა: „რატომ გგონია, რომ მოგკლავს ზვიადი?!“

„იმიტომ, რომ... წინაზე რომ დაიჭირეს... მე დავაჭერინე. უფრო სწორედ, ჯერ მაგათ დამიჭირეს და მერე უკვე მე...“ — არეულად დაიწყო და უფრო არეულად დაასრულა მაციმ.

№0578-მა მაცი იმ კამერაში აიყვანა, სადაც 13-დან ათი კაცი ავარიაზე იჯდა და მათ შორის ცნობილი რეპერი, გერციც იყო. სწორედ გერცს ჩააბარა მაცი და ზვიადის დანაბარებიც გადასცა, არავინ არაფერი აკადროსო. პატიმრების განაწილება დასრულდა და №0578 ზვიადს მიუჩოჩდა: „არ აგცდება მაცის ამბის მოყოლა. შენ გეცინებოდა, იმას მკვდრის ფერი ედო... გზაზე ვკითხე რაღაცები და ჯერ მე დამიჭირეს, მერე ეგენი დავაჭერინეო, სხვა გზა არ მქონდაო და რა მოხდა, მითხარი, რა... იცოდე, „სროკი“ მე და შენ საკმარისზე მეტი გვაქვს და თუ არ გინდა, ყოველ დღე ერთი და იგივე რამ გკითხო და ტვინი გიბურღო, უნდა მომიყვე...“

„ახლა არა, ხვალ, ზეგ იყოს. სხვებსაც აინტერესებთ, დღეს ყველამ ეგ მკითხა, ვინ არისო და ერთად მოგიყვებით“, — ისევ უცნაურად გაიღიმა ზვიადმა.

„მაშინ, ხვალ არა და, ზეგ ნაშუადღევს, 3-4 კაცი დავსხდეთ შენს კამერაში, ჩაი და ნამცხვარი ჩემზე იყოს და მოყევი“, — უთხრა №0578-მა და ზვიადმაც უხმოდ დაუქნია თავი. პატიმარი მაშინვე იმ კამერისკენ წავიდა, სადაც აზერბაიჯანელი „ბარიგები“ იხდიდნენ სასჯელს და ერთ-ერთს უთხრა, ზეგ მაყურებლის კამერაში ჩაი და ორი ყუთი ნამცხვარი მოიტანეო და ფონიჭალელმა ბარიგამაც მაშინვე თავი დაუქნია.

ორი დღის შემდეგ ზვიადის კამერაში რამდენიმე კაცი შეიკრიბა. №0578-ის თხოვნით, საუბარს მაციც დაესწრო, რადგან მისი პოზიცია სხვებსაც აინტერესებდათ და ზედმეტი კითხვები რომ არ გაჩენილიყო, ზვიადიც დათანხმდა.

„№0578 კი იცნობს ჩემს ძმაკაცებს, ნოდარს და ცხონებულ ლევანს... მაგათთან ერთად გავაკეთე ეგ საქმე. ეს იდიოტი რუსეთში დადიოდა რეისებში და სერიოზული ფული ჰქონდა. აბა, ჩვენ ამის არსებობა საიდან ვიცოდით. ერთ დღეს, ლუდის ბარში იჯდა გადამთვრალი და ვიღაცას ებლატავებოდა, ბოლო რეისიდან ჩეჩნებს რაღაც საქონელი გადავუტანე და ნახევარი მილიონი მომცეს ქეშადო. მე, ლევანი და ნოდარი გვერდით მაგიდაზე ვწრუპავდით ლუდს და როცა ეს დებილი იქიდან გამოვიდა, გავყევით, მანქანაში ჩავისვით და ტყეში წავიყვანეთ. იქ ფიცრული გვქონდა, დავაბით და მეორე დილას დაველოდეთ. რომ გამოფხიზლდა, თვალებს არ დაუჯერა და ჩვენც, როგორც წესიერმა ხალხმა, ნახევარი მილიონი კი არა, 250 ათასი მოვთხოვეთ. თავი გაიგიჟა, მაგდენი ფული თვალით არ მინახავს, ნასვამი ვიყავიო და დაიფიცა, რეისში წელიწადია არ ვყოფილვარო. ლევანი წავიდა, მეორე დღეს საჭმელიც ამოიტანა და ამბავიც — ეს კაცი რეისიდან ორი დღის წინ დაბრუნდა, ჩეჩნებს ჰყოლიათ რაღაც საქმეზე წაყვანილიო. ყველაფერი ემთხვეოდა და ეს კიდევ გაიძახოდა, არაო. ის ჩეჩნებიც გავიგეთ ვინ იყვნენ და ისიც, რომ მართლა ნახევარი მილიონი მისცეს. ამ სირმა კიდევ, მომკალით და ფულის გადამხდელი არ ვარო.

ოჯახს დავუკავშირდით, ფული გადაიხადეთ თორემ თქვენ მაცის ნაწილ-ნაწილ გამოგიგზავნით-თქო. ოჯახმა კიდევ აქეთ შემოგვითვალა, გვითხრას, სად შეინახა და გამოვაგზავნითო. მოკლედ, ჩვენზე იყო დამოკიდებული, ვათქმევინებდით თუ არა. ნოდარამ თქვა, თითები დავაჭრათო, მაგრამ არ მიყვარს ეს ძალადობა და მომკალით თუ გინდა. ამიტომ, იმის ახსნა დავუწყე, რომ დიდ ხანს მის შენახვას არ ვაპირებდით და უბრალოდ მოვკლავდით. თანახმა იყო, ფულზე თავი გაეწირა. მე ქალაქში ჩამოვედი და თითი მართლა მოაჭრეს, თან ცერი. არაფერი თქვა, თუმცა ცერა თითის გარეშე დარჩენილმა ღამით ბორკილიდან ხელი ამოაძვრინა და გაგვექცა.

სახლი და კარი კი ვიცოდით და ახლა სახლში დავადექით. ესეც პოლიციაში წავიდა და ასე მარტივად დაგვიჭირეს. ატეხეს ამბავი, ადამიანების გამტაცებლები დავიჭირეთო, კიდევ ბევრს საქმეს გავხსნითო... იდიოტები, შემთხვევით იყო ეს რომ წავიყვანეთ და კიდეც გავებით. დანარჩენს ახლა ეგ მოყვეს“, — დაასრულა ზვიადმა.

„მოსაყოლი მოყევი უკვე და შენ მთავარი არ იცი — თქვენ 250 ათასს მთხოვდით და ხელისუფლებამ მთლიანად ამახია ის ფული, ჩეჩნებთან ერთად უკანონობას ჩაიდენდი რამესო. ახლა კიდევ ავარია მომივიდა, ორი ადამიანი მოკვდა და კი გამომიშვეს აქეთ. ვფიქრობდი, შემთხვევით იმათ არ შევხვდე-თქო და აჰა, რომ დავინახე, კინაღამ გული გამისკდა. ისე, აღიარე, იქიდან რომ გამოვიქეცი, სახლში რომ არ დამდგომოდით, მე პოლიციაში წამსვლელი არ ვიყავი“, — თქვა მაციმ.

„ახლა გავბრაზდები და შეიძლება მართლა მოგკლა. როგორც კი შენებს დავუკავშირდით, ისინი პოლიციაში გაიქცნენ და ჩვენ უკვე ვიმალებოდით. ის ფული წასასვლელად გვინდოდა, ქვეყნის დატოვებას ვაპირებდით და კაი ბიჭის როლის თამაში არ გინდა. ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი ტიპი ხარ, რომელმაც საშიშროება იგრძნო და გაბოზდა“, — დაუსერიოზულა ზვიადმა და მაციმაც თავი ჩაღუნა.

* * *

მაცი დღესაც მძღოლია, ზვიადი კი ბელარუსში ცხოვრობს და რამდენიმე თვის წინ მიღებული „კანონიერი ქურდის“ სტატუსით ტკბება.

ვერსიანიუსი

## შსს-მ დაბა წაღვერში მომხდარი ქურდობა გახსნა



შსს-ს სამცხე-ჯავახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ბორჯომის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1965 წელს დაბადებული მამუკა კ. ქურდობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულმა ბორჯომის რაიონის დაბა წაღვერში, მოქალაქის კუთვნილი აგარაკიდან სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნივთი მოიპარა. აგარაკის მეპატრონისთვის მიყენებული მატერიალური ზიანი 5362 ლარია.

სამართალდამცველებმა, დაკავებულის საცხოვრებელი სახლის და დამხმარე სათავსოს ჩხრეკისას, ნაქურდალი ნივთები ნივთმტკიცებად ამოიღეს. ბრალდებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება ქურდობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით).

***„ვერსიანიუსი“***

## შსს-მ გავრცელებულ ვიდეომასალასთან დაკავშირებით შემოწმება დაიწყო

2015 წლის 28 სექტემბერს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით 27 სექტემბერს გავრცელებულ ვიდეომასალასთან დაკავშირებით სამსახურებრივი შემოწმება დაიწყო. იმ შემთხვევაში, თუ შემოწმების შედეგად დადგინდება რაიმე სახის გადაცდომა, გენერალური ინსპექცია შესაბამის რეაგირებას მოახდენს.

***„ვერსიანიუსი“***

## შსს-ს აკადემიაში საპატრულო პოლიციის თანამშრომლებისთვის ტრენინგი ჩატარდა



შსს-ს აკადემიაში დოკუმენტების მეორადი ინსპექტირებისა და ექსპერტიზის თემაზე ტრენინგი ჩატარდა. მასში მონაწილეობას იღებდნენ შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სასაზღვრო გამტარი პუნქტების თანამშრომლები. სწავლება პროექტ „საქართველოს მთავრობის შესაძლებლობების გაუმჯობესება საზღვრისა და მიგრაციის მართვის სფეროში“ ფარგლებში, ევროკავშირის დაფინანსებით ჩატარდა. ტრენინგს ორგანიზებას მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM) უწევდა.

სწავლება თეორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობებს მოიცავდა. შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებს ლექციები ნიდერლანდების სამეფოდან მოწვეულმა ექსპერტებმა ჩაუტარეს. ტრენინგის მიზანი იყო ყალბი სამგზავრო დოკუმენტების გამოვლენა და მეორადი ინსპექტირების კუთხით კვალიფიკაციის ამაღლება. სწავლის კურსის დასრულების შემდეგ მონაწილეებს მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელმა მარკ რიჩმონდმა და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორმა გოგა რაზმაძემ სერტიფიკატები გადასცეს.

***„ვერსიანიუსი“***

## სასამართლო დავა

# ქართველი თაღლითების მსხვერპლი ნინა ჭანტურია-რიტერი სამართალს ეძებს

## 10 თვეა სასამართლოში საქმის განხილვა ჭიანურდება

**2013 წელს, „ვერსიის“ №98-ში (25-26 სექტემბერი), დაიბეჭდა სტატია, რომელიც ქართველი თაღლითების მიერ, ამერიკელი ცოლ-ქმრისთვის დიდძალი თანხის გამოძალვას ეხებოდა. ლეგენდარული ქართველი ავიაკონსტრუქტორის, ალექსანდრე ქართველიშვილის ამერიკელი პარტნიორის, ბენჯამენ რიტერის ვაჟიშვილმა, ჩარლზ რიტერმა და მისმა ქართველმა მეუღლემ, ნინა ჭანტურია-რიტერმა, ქართველი მეგობრის რეკომენდაციით, 400 000 აშშ დოლარი გაასესხეს. სამწუხაროდ, ქართველებმა ამერიკელი პარტნიორები მოატყუეს, რის გამოც ნინა ჭანტურია-რიტერმა სასამართლოში სარჩელი შეიტანა და ეს ამბავი ექსკლუზიურად, „ვერსიასაც“ უამბო. წელიწადნახევრის შემდეგ, ნინა ჭანტურია-რიტერი ისევ დაგვიკავშირდა, რადგან ირკვევა, რომ სასამართლოში მისი საქმის განხილვა ჭიანურდება, რის გამოც ოჯახს სერიოზული ფინანსური და მატერიალური ზიანი მიადგა.**

ჩარლზ რიტერმა და მისმა ქართველმა მეუღლემ ნინა ჭანტურია-რიტერმა, ქართველი მეგობრის, ალექსანდრე უთარაშვილის რეკომენდაციით, 400 000 აშშ დოლარი უთარაშვილის მეუღლის ძმისშვილს, კომპანია „აგროგეოს“ მფლობელს, დიმიტრი კოსტაროვს ასესხეს. რიტერებმა ეს თანხა კომპანიის ანგარიშზე, 2010 წლის ოქტომბერში, ამერიკიდან გადმორიცხეს. რეალურად, საქართველოში დაბანდებული ფული ამერიკაში მათი საცხოვრებელი სახლისთვის აღებული სესხის დასაფარი თანხა იყო. ქართველმა „მეგობრებმა“ კი ბოროტად ისარგებლეს რიტერების ნდობით, რასაც ტრაგიკული მოვლენები მოჰყვა: ოჯახს უსახლკაროდ დარჩენა დაემუქრა, დაუბრუნებელი ვალის გამო, ახალი ვალები დაგროვდა, რამაც საბოლოოდ, ჩარლზ რიტერის ჯანმრთელობა შეარყია. რამდენიმე ინსულტისა და თანმდევი ავადმყოფობის შედეგად, 2014 წლის დეკემბერში, ჩარლზ რიტერი გარდაიცვალა...

ფულის დასაბრუნებლად, სამწლიანი უშედეგო ბრძოლის შემდეგ, ნინა ჭანტურია-რიტერი მეუღლის გარეშე, უსახლკაროდ და ვალებში ჩაფლული დარჩა. სამწუხაროდ, 62 წლის ჯანმრთელობაშერყეულ ქალბატონს, საკუთარი შრომის შედეგად, აღარ ძალუძს ისეთი გასამრჯელოს მიღება, რომ საკუთარი თავი მაინც შეინახოს. ამ შემთხვევაში, ვალების გასტუმრებაზე საუბარი უკვე ზედმეტია.

უთარაშვილი და კოსტაროვი კი ჩვეულ რიტმში განაგრძობენ ცხოვრებას და როგორც ჩანს, მათ კეთილდღეობას არაფერი ემუქრება. კოსტაროვმა ხელოვნურად გააკოტრა კომპანია „აგროგეო“, თავისი საქმიანობა გადაიტანა ახალ კომპანიაზე, რომელსაც „აგროგეო +“-ით შეუცვალა სახელი, რათა „აგროგეოს“ ანგარიშზე, რიტერების მიერ სესხად გადმორიცხული თანხა არ დაებრუნებინა. „აგროგეო +“-ში, 80%-იანი წილის მფლობელი, დიმიტრი კოსტაროვის მეუღლე ირინა დანილენკოა. რიტერების მიერ სასამართლოში შეტანილ სარჩელს, წყნეთში, უთარაშვილის კუთვნილი საცხოვრებელი სახლისა და თბილისში, თამარაშვილის ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთ პრესტიჟულ შენობაში, კოსტაროვის კუთვნილი 4-ოთახიანი ბინის დაყადაღება მოჰყვა. მართალია, 2014 წლის 23 დეკემბერს, სასამართლომ დაადგინა, რომ კოსტაროვს რიტერებისთვის 400 000 აშშ დოლარის, მასზე დარიცხული პროცენტისა და პირგასამტეხლოს გადახდა დაეკისრა, ამ უკანასკნელმა, ყადაღადადებული ბინა რუსეთის მოქალაქეზე გაასხვისა. კოსტაროვის ოჯახი ამ ბინაში კვლავაც განაგრძობს ცხოვრებას: როგორც თვითონ ირწმუნება, ახალი მეპატრონისგან ამ ბინას ვქირაობო. არაფერი დამუქრებია არც კოსტაროვის მამის სახელზე გაფორმებულ მეორე, 3-ოთახიან, ბინას იგივე პრესტიჟულ სახლში, არც კოსტაროვის მამის სახელზე გაფორმებულ ათეულობით ჰექტარ საუკეთესო სასოფლო-სამეურნეო მიწებს კახეთში, არც მათ აგარაკს მანგლისში, მათ მანქანებს ან მათი ცხოვრების წესს — კოსტაროვებს კვლავაც აქვთ საშუალება, მაღალი კლასის ავტომობილებით იარონ და სახლში მოსამსახურეები იყოლიონ, ანუ თაღლითობით მიღებული ფულის საშუალებით, უზრუნველ ცხოვრებას აგრძელებენ.

საინტერესოა, რომ არავის გასჩენია კითხვა, რა სახსრებითა და შემოსავლებით მოახერხა კოსტაროვის მამამ, მის სახელზე გაფორმებული ქონების შეძენა. მიუხედავად საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში არსებული სისხლის სამართლის საქმისა, რომელიც აგერ უკვე მეორე წელია გრძელდება, გამოძიებას ჯერაც ვერ გაურკვევია, როგორ გაყიდა დიმიტრი კოსტაროვმა ყადაღადადებული ბინა, როგორ მოახერხა და როგორ გააფორმა ეს ბინა რუსეთის მოქალაქე გიორგი ალიკოშვილზე ე.წ. „სესხის“ ხელშეკრულება და აუქციონის საშუალებით, ისე როგორ დაემთხვა, რომ რუსეთის მოქალაქემ დიმიტრი კოსტაროვის ბინა შეიძინა, რომელიც ამერიკელი ცოლ-ქმრისთვის სარჩელის უზრუნველყოფის საშუალებას წარმოადგენდა. რატომ არ მოხდა სააღსრულებო ბიუროს მიერ ინფორმირება იმ მესამე პირისა, ვისაც ჰქონდა დაყადაღებული ეს ქონება, რათა მიეღოთ სათანადო ზომები? როგორ მოხდა ეს ფარული შეთანხმება სასამართლოსა და სხვა კრედიტორების ზურგსუკან, გამოძიებამ ეს დღემდე რატომ ვერ დაადგინა?

რაც შეეხება სასამართლო პროცესს, ჭიანურდება. უკვე მე-10 თვეა, ვერ ხერხდება მორიგი სასამართლო მოსმენის დანიშვნა, მიუხედავად იმისა, რომ კანონი ამისთვის მაქსიმუმ 5-თვიან ვადას ითვალისწინებს. საქმე განსახილველად დაეწერა მოსამართლე თეა სოხაშვილ-ნიკოლეიშვილს, რომელიც დეკრეტულ შვებულებაში გავიდა და საქმე რამდენიმე თვე, უბრალოდ, იმყოფებოდა მასთან. რაც შეეხება მომდევნო მოსამართლეს, რომელიც ვანო წიკლაურია, მას აპრილის დასაწყისიდან წარმოებაში აქვს საქმე, თუმცა უშედეგოდ. როდესაც რიტერების წარმომადგენლები კითხვას სვამენ, თუ როდის უნდა დაინიშნოს საქმის განხილვა, მოსამართლის თანაშემწე ვერაფერს პასუხობს, თავად მოსამართლესთან კომუნიკაციას კი კანონი კრძალავს. ამ ეტაპზე, უცნობია, რამდენი წელი იქნება საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში, ვინაიდან მოსამართლეები საქმის განხილვას არ აპირებენ.

რიტერების თავს დატრიალებულ ტრაგედიას, გარდა კოსტაროვისა და უთარაშვილის მუხთლობისა, ქართული სასამართლოს გულგრილობაც ემატება. სად უნდა ეძებოს სამართალი, აწუკვე მარტოდდარჩენილმა ქალბატონმა, რომელიც ქართველი თაღლითების მსხვერპლია?!

®




## ავჭალაში ორი ახალგაზრდის დაჭრაში ბრალდებული დააკავეს

შსს ავჭალაში ორი ახალგაზრდის დაჭრაში ბრალდებული პირის დაკავების შესახებ ოფიციალურ ინფორმაციას ავრცელებს. უწყების ინფორმაციით, 1984 წელს დაბადებული შალვა ა. თბილისის მთავარი სამმართველოს გლდანი-ნაძალადევის მეოთხე განყოფილების თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიების შედეგად დააკავეს. გამოძიებამ დაადგინა, რომ ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფმა ბრალდებულმა ურთიერთშელაპარაკებისას 1990 წელს დაბადებული გიორგი დ. და 1983 წელს დაბადებული ირაკლი ე. ცივი იარაღით გულ-მკერდის არეში დაჭრა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. ორივე დაჭრილი საავადმყოფოში გადაიყვანეს. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს. გამოძიება ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ფაქტზე მიმდინარეობს. ინციდენტი ავჭალაში 28 სექტემბერს მოხდა. შემთხვევის ადგილზე სამი ახალგაზრდა იმყოფებოდა. ბრალდებულმა ახალგაზრდები იმ დროს დაჭრა, როდესაც ერთ-ერთი მათგანი საპირფარეშოში შევიდა. ერთ-ერთ დაზარალებული კლინიკა „ლანცეტშია“ მოთავსებული. მას ბარძაყის, ფილტვისა და ზედა კიდურის არეში დაზიანებები აღენიშნება. მეორე დაჭრილი კი ღუდუშაურის კლინიკაშია გადაყვანილი.

*„ინტერპრესნიუსი“*

## „თალიბანმა“ ქალაქ კუნდუზზე კონტროლი დაამყარა

რადიკალურმა დაჯგუფება „თალიბანმა“ ავღანეთის სტრატეგიულად მნიშვნელოვან ქალაქ კუნდუზზე სრული კონტროლი დაამყარა. „ბიბისის“ ინფორმაციით, მებრძოლებისთვის ეს პირველი დიდი წარმატებაა ბოლო 14 წლის განმავლობაში. ავღანეთის შეიარაღებულ ძალებში აცხადებენ, რომ თალიბები ქალაქს მოულოდნელად დაესხნენ თავს, ხოლო სამხედროები კვლავ აკონტროლებენ კუნდუზის აეროპორტს. ამჟამად, ავღანეთის უშიშროების ძალები კუნდუზის სიახლოვეს, დამატებით სამხედრო ძალებს ელოდებიან, რის შემდეგაც კონტრშეტევას აპირებენ. მებრძოლებმა კუნდუზის ცენტრალურ ნაწილში „თალიბანის“ დროშა აღმართეს. თალიბებმა ასევე, ინტერნეტში არმიის კუთვნილი ჯავშანტექნიკის ამსახველი ფოტოსურათებიც გაავრცელეს, რომელიც, მათი თქმით, ქალაქის შტურმისას აიღეს. კუნდუზი პროვინცია კუნდუზის დედაქალაქია, რომელიც ტაჯიკეთს ესაზღვრება. ქალაქში 100 000-ზე მეტი ადამიანი ცხოვრობს. თალიბები კუნდუზში 28 სექტემბერს შეიჭრნენ. თავდასხმაში რამდენიმე ასეული მებრძოლი მონაწილეობდა.

*„ინტერპრესნიუსი“*

## ჯანდაცვა

# „ყურადღება უნდა მივაქციოთ, რომ ზედამხედველობის გარეშე ასე ფართოდ არ იქნას გამოყენებული ანტიბიოტიკები“




საქართველო ანტიბიოტიკების მოხმარების კუთხით ერთ-ერთ პირველ ადგილს იკავებს. რა უარყოფითი შედეგების მომტანი შეიძლება იყოს არასათანადოდ დანიშნული ანტიბიოტიკი პაციენტისთვის და რა უნდა ვიცოდეთ ამ ტიპის მედიკამენტებზე. აღნიშნულთან დაკავშირებით „ვერსიას“ მედიცინის დოქტორი, სამეცნიერო დარგში დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე პაატა იმნაძე ესაუბრება. მისი განცხადებით, ანტიბიოტიკ-რეზისტენტობის პრობლემა მხოლოდ საქართველოსი კი არა, მსოფლიოს პრობლემაა ბოლო წლების განმავლობაში: **„არცთუ დიდი ხნის წინ, ანგელა მერკელსაც ჰქონდა საჯარო მიმართვა ამ საკითხზე. ის ყურადღებას ამახვილებდა სწორედ ანტიბიოტიკების არასათანადო მოხმარებაზე. ბოლო პერიოდში დადგა ერთგვარი „ანტიბიოტიკების ერა“, ბევრი, ადრე განუკურნებელი დაავადების მკურნალობა ანტიბიოტიკებით გახდა შესაძლებელი. ანტიბიოტიკებს აქვს სპეციალური მექანიზმები, რითიც გამძლეები ხდებიან სხვა ანტიბიოტიკებისადმი. უფრო ცუდი თვისებაც აქვთ – გამძლეობის გენი შეუძლიათ ერთმანეთს გაუცვალონ. აქედან გამომდინარე, კაცობრიობა შეიძლება დადგეს იმის წინაშე, რომ დაუბრუნდეს მეორე მსოფლიო ომის წინა პერიოდს, როდესაც ანტიბიოტიკები არ იყო. ანუ ჩვენი ანტიბიოტიკები გახდეს არამოქმედი იმ ბაქტერიებისადმი, რომლებისთვისაც ისინი გამოიყენება მედიცინაში. ეს არის მსოფლიო პრობლემა, რომელიც საქართველოსაც შეეხება და რეზისტენტობა შემდეგ ფართოდ ვრცელდება მთელ მსოფლიოში“.**

პაატა იმნაძისვე განცხადებით: **„ჩვენთან, ანტიბიოტიკებთან მიმართებაში, პირველი ნაბიჯი ამ მხრივ რეცეპტების შემოღებით გადაიდგა და კარგია, რომ მოსახლეობა ანტიბიოტიკებს დიდი რაოდენობით აღარ სვამს თვითნებურად ან თუნდაც ექიმის დანიშნულებით. ახლა დადგა მეორე ეტაპი, ჩვენი კოლეგები დავარწმუნოთ, ანტიბიოტიკები გამოიყენონ მხოლოდ მაშინ, როდესაც ისინი მართლაც უკიდურესად საჭიროა. ვირუსული დაავადებების დროს თუ არ არის ბაქტერიული გართულება, ანტიბიოტიკი არაფერს შველის. პირიქით – ხელისშემშლელია ორგანიზმისთვის ვირუსთან ბრძოლაში. რადგან ანტიბიოტიკები ანტიბაქტერიული საშულებებია, არცერთი მათგანი არცერთ ვირუსზე არ მოქმედებს“.**

იმნაძის თქმით, **„მოსახლეობას უნდა ესმოდეს, რომ ანტიბიოტიკი არ არის ჩვეულებრივი წამალი. ამ შემთხვევაში ადამიანის ორგანიზმი არის ის სინჯარა, სადაც ანტიბიოტიკმა უნდა მოკლას ან შეაჩეროს კონკრეტული ბაქტერიის ზრდა-განვითარება. ჩვენი ორგანიზმისთვის არცერთი ანტიბიოტიკი კარგს არაფერს აკეთებს, მაგრამ ამ შემთხვევაში მთავარია მოკლას ბაქტერია. სწორედ ამიტომაა მნიშვნელოვანი სწორი დიაგნოზის დასმა. წლევანდელი და მომავალი წელი იქნება უმნიშვნელოვანესი, რომ ექიმებისთვის ხელმისაწვდომი გავხადოთ მსოფლიოში საუკეთესო გაიდლაინი ანტიბიოტიკების გამოყენების შესახებ. მაქსიმალური ყურადღება უნდა მივაქციოთ, ყოველგვარი ზედამხედველობის გარეშე ასე ფართოდ არ იქნას გამოყენებული ანტიბიოტიკები“.**

*რუსუდან ხავთასი*




# ნაყინი საუზმისთვის




იაპონურმა საკონდიტრო კომპანიამ Takeshita Seika, რომელსაც არსებობის საუკუნოვანი ისტორია აქვს, უთვალავი რაოდენობის ტკბილეული შექმნა. წლეულს კი, კომპანიის სიახლეებში ნაყინი გაჩნდა, რომელიც სპეციალურად საუზმისთვის შეიქმნა. კონდიტერები ამომავალი მზის ქვეყნიდან გვთავაზობენ, ყველაზე მნიშვნელოვანი საკვების მიღების პროცესი ყველაზე გემრიელადაც ვაქციოთ. საამისოდ მათ მოხალული გრანოლა (მასალა ფაფისთვის, რომელიც შვრიის ფანტელს, ნიგოზსა და თაფლს შეიცავს), ვაშლის ჩირი და ქიშმიში ვანილის ნაყინში მოათავსეს. ფაქტობრივად, ტრადიციული, ევროპული საუზმეა, მხოლოდ ტემპერატურა უფრო დაბალია და ფორმაც შეცვლილი აქვს, რადგან საუზმე ჯოხზე წამოცმულ ნაყინად გადაიქცა. როგორც ჩანს, ახლა იაპონელ ბავშვებს საუზმის ჭამაზე დიდი თხოვნა არ დასჭირდებათ.

# ყავა ასუქებს



თუკი ადამიანი დღის განმავლობაში ხუთ ფინჯან არომატულ სასმელს მიირთმევს, წონაში მატების რისკი მნიშვნელოვნად იზრდება, — განაცხადეს ავსატრალიის სამედიცინო კვლევითი ისტიტუტის მეცნიერებმა. სწავლულებმა აღმოაჩინეს, რომ დღეში ხუთი ჭიქა ყავა შინაგანი ორგანოების გარშემო, ე.წ. ვისცერალური ცხიმის (ცხიმის ყველაზე სახიფათო სახეობა) მოცულობას აორმაგებს. ვისცერალური ცხიმი შინაგანი ორგანოების მუშაობას აფერხებს და ისეთ პროცესებს იწვევს, რაც თავის მხრივ, სერიოზული დაავადებების მიზეზი ხდება. ყავის ნეგატიურ ეფექტს მასში ქლოროგენის მჟავის არსებობას უკავშირებენ. თუმცა, მკვლევარების თქმით, ზომიერი რაოდენობით ის სასარგებლოა და შაქრიანი დიაბეტის განვითარებას უშლის ხელს. ექსპერიმენტის ფარგლებში, მკვლევარები ლაბორატორიულ თაგვებს დღეში ხუთ ჭიქა ყავას აძლევდნენ. შედეგად დადგინდა, რომ მღრღნელებს ორჯერ უფრო ვისცერალური ცხიმი უვითარდებოდათ. მკვლევარების ღქმით, ყავის სასარგებლო თვისებების თაობაზე გავრცელებული ცნობების მიუხედავად, დაამტკიცდა, რომ ამ სასმელის ჭარბი რაოდენობა წონაში მატებას იწვევს.

# კიფონის რიგში რობოტი გაგზავნა



ავსტრალიელმა ლუსი კელიმ სიდნეიში, App Store-ის მაღაზიაში რობოტი გაგზავნა, მის ნაცვლად რიგში რომ დამდგარიყო და სასურველი ტექნიკა ეყიდა. ადგილობრივი პრესა წერს, რომ ორიოდე დღის წინ, დილაუთენია „რკინის მყიდველმა“ უკვე დაიკავა რიგი. როგორც კელი ამბობს, ძალიან უნდოდა, ერთ-ერთ პირველს შეეძინა iPhone 6s, მაგრამ რიგში დგომის დრო არ ჰქონდა. უფროსმა კი ურჩია, მის ნაცვლად, მაღაზიაში რობოტი გაეშვა, რომელიც მათივე კომპანია Atomic 212-მა დაამზადა. რობოტი iPad-პლანშეტს წარმოადგენს და ის მეირთებულია მოწყობილობაზე, რომელიც სეგვეის წააგავს. სპეციალური პროგრამის მეშვეობით, კელის რობოტის მართვაც შეუძლია და გარშემომყოფებთან ურთიერთობაც, კამერისა და მიკროფონის წყალობით. გოგონას გათვლით, რობოტი ერთი დღე-ღამის განმავლობაში სპეციალურ კარავში იქნებოდა მაღაზიის წინ, მერე კი შევიდოდა და ახალ ტელეფონს იყიდდა. რიგში მდგომმა ადამიანებმა და გამვლელებმა საკმაოდ თბილად მიიღეს „რკინის მყიდველი“ და მასთან ფოტოებსაც იღებდნენ.

# სუდოკუმანია

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 4 | | | 7 | 2 | | | |
| | | | 5 | 4 | | | 8 | |
| | 2 | | | | | 4 | | |
| | | 6 | | | | | 3 | 4 |
| 4 | 5 | | | | | | 7 | 1 |
| 1 | 7 | | | | | 9 | | |
| | | 5 | | | | | 2 | |
| | 3 | | | 2 | 1 | | | |
| | | | 9 | 5 | | | 4 | 6 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | | | | | | | | |
| | 9 | | 6 | 7 | | 4 | | |
| | 1 | | 3 | | | | 7 | |
| | | 4 | | 1 | | | 5 | 2 |
| | 2 | | | 8 | | | 1 | |
| 7 | 6 | | | 3 | | 9 | | |
| | 4 | | | | 8 | | 2 | |
| | | 3 | | 5 | 4 | | 6 | |
| | | | | | | | | 4 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 5 | | | | | 4 |
| | | | | 7 | 3 | 2 | 6 | |
| 7 | | | | | 6 | 9 | 8 | |
| | | 2 | | 6 | 1 | | | |
| | | | | | | | | |
| | | | 8 | 2 | | 5 | | |
| | 9 | 4 | 1 | | | | | 3 |
| | 7 | 1 | 6 | 4 | | | | |
| 2 | | | | | 5 | | | |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 6 | | 4 | 5 | | 1 | |
| | | 9 | 7 | | | | | |
| | | 4 | | 9 | | 7 | 3 | |
| 6 | | | 5 | | | | | |
| | 4 | | | 7 | | | 2 | |
| | | | | | 1 | | | 7 |
| | 8 | 2 | | 1 | | 4 | | |
| | | | | | 3 | 2 | | |
| | 7 | | 9 | 5 | | 1 | | |

## რძე გულისთვის სახიფათოა



ძროხის რძე ადამიანის ჯანმრთელობისთვის, შესაძლოა, საკმაოდ სახიფათო იყოს. როგორც შვედი სწავლულები აცხადებენ, მისი ყოველდღიური ნორმა ორ ფინჯანზე მეტი არ უნდა იყოს. როგორც წესი, რძე, კალციუმის შემცველობის გამო, მეტად სასარგებლოდ მიიჩნევა, მაგრამ სწორედ ამ ელემენტს შეუძლია, გულსისხლძარღვთა დაავადებებით გარდაცვალების რისკი გაზარდოს. ეს ფაქტი მკვლევარებმა სუსტი სქესის წარმომადგენლებზე დაკვირვებით დაამტკიცეს. ისინი დღეში საშუალოდ 1,4 ლიტრ რძეს მოიხმარდნენ. ამ სასმელის ჭარბი მოხმარების შემთხვევაში, ორგანიზმი, უბრალოდ, კალციუმის ათვისებას ვერ ასწრებდა, შედეგად კი ნალექი წარმოიქმნებოდა. ცნობილია, რომ სისხლძარღვთა კალციფიკაცია მათ ელასტიურობას ამცირებს, ამის გამო კი გულის დაავადებათა რისკი იზრდება. რძისა და რძის პროდუქტების არასწორი გამოყენების მავნებლობაზე ჰარვარდელი სწავლულებიც ლაპარაკობენ. მათ კვლევა ჩაატარეს, რომლის საფუძველზეც განაცხადეს, რომ ნებისმიერი რძე ბავშვისთვის სასარგებლო არ არის. თუ რძე შაქარს ან სხვა დამატკბობელ ნივთიერებებს შეიცავს, ორგანიზმისთვის მავნეა.

## მსუქან კაცებს ბიჭები უჩნდებათ?



ბავშვის სქესის „პროგრამირება“ მამის წონის მიხედვით ხდება. გოგონები უფრო ხშირად მოხდენილ, გამხდარ კაცებს უჩნდებათ, ბიჭები კი, პირიქით — მსუქნებს, — ასეთ დასკვნებს აკეთებენ ჩინელი სწავლულები. მათ დეტალური კვლევა ჩაატარეს, რომლის დროსაც ყურადღება დედის როლს კი არა, მამის წონას ექცეოდა. მთლიანობაში მკვლევარებმა 8500 ოჯახური წყვილის ცხოვრების ანალიზი გააკეთეს, რომლებიც უნაყოფობაზე მკურნალობდნენ. სწავლულებმა გაითვალისწინეს არა მხოლოდ ფეხმძიმობისა და შობადობის სტატისტიკა, არამედ მშობლების წონაც. როგორც აღმოჩნდა, კარგი აღნაგობის მამაკაცებზე 611 ბიჭი და 569 გოგონა მოდიოდა. აი, მსუქანი მამების ჯგუფში კი 27%-ით მეტი იყო ბიჭების რაოდენობა. სწავლულთა აზრით, ასეთი მაჩვენებელი შესაძლოა, იმით იყოს გამოწვეული, რომ მდედრობითი სქესის ემბრიონები, რაღაც მიზეზის გამო, ნაკლებად ამტანები არიან, თუკი მათ ჩასახვაში ჭარბწონიანი მამა მონაწილეობდა. არ არის გამორიცხული, მსუქან მამაკაცებში მეტი y-სპერმატოზოიდი გამომუშავდება, რაც მამრობითი ემბრიონის ჩასავას იწვევს.



## ინტერნეტის მოყვარულები ხშირად ავადობენ

ადამიანები, რომლებიც მეტად არიან დამოკიდებული ინტერნეტზე, სუსტი იმუნიტეტით გამოირჩევიან, ამტკიცებენ სწავლულები იტალიიდან. ისინი გვარწმუნებენ, რომ ასეთი ადამიანები ადვილად ავადდებიან ინფექციური დაავადებებით, კერძოდ, გრიპითა და გაციებით. ამის მიზეზად აპენინელი მედიკოსები იმ ფაქტს ასახელებენ, რომ მსოფლიო ქსელში მრავალი საათის გატარების მოყვარულები განმარტოებულები არიან და მათი იმუნური სისტემა დასუსტებულია. სხვა ადამიანებთან რეგულარული ურთიერთობის არქონის გამო, ასევე, სუფთა ჰაერზე გატარებული მცირე დროის „წყალობით“, ვირუსული დაავადებების განვითარების ალბათობა მათში საკმაოდ მაღალია. იტალიელიების ექსპერიმენტში 500 მოხალისე მონაწილეობდა, რომელთა ასაკი 18-დან 100 წლამდე იყო. მკვლევარებმა აღნიშნეს, რომ გრიპითა და სურდოთი უფრო მეტად ის ადამიანები ავადობდნენ, ვინც დიდხანს იჯდა ინტერნეტში. ხოლო ვისაც ეს დამოკიდებულება არ აღენიშნებოდა, დაავადების განვითარების შანსი 30%-ით ნაკლები ჰქონდა.

## წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 1 | 3 | 4 | 9 | 8 | 7 | 6 | 5 |
| 8 | 7 | 6 | 5 | 1 | 3 | 4 | 9 | 2 |
| 9 | 5 | 4 | 6 | 2 | 7 | 3 | 1 | 8 |
| 7 | 4 | 5 | 3 | 6 | 2 | 9 | 8 | 1 |
| 3 | 2 | 1 | 7 | 8 | 9 | 5 | 4 | 6 |
| 6 | 9 | 8 | 1 | 5 | 4 | 2 | 7 | 3 |
| 1 | 3 | 2 | 9 | 7 | 6 | 8 | 5 | 4 |
| 5 | 8 | 9 | 2 | 4 | 1 | 6 | 3 | 7 |
| 4 | 6 | 7 | 8 | 3 | 5 | 1 | 2 | 9 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 7 | 9 | 2 | 6 | 1 | 5 | 3 | 8 |
| 2 | 8 | 1 | 3 | 5 | 7 | 4 | 6 | 9 |
| 6 | 3 | 5 | 9 | 8 | 4 | 2 | 1 | 7 |
| 9 | 6 | 7 | 8 | 4 | 5 | 1 | 2 | 3 |
| 3 | 2 | 4 | 1 | 9 | 6 | 8 | 7 | 5 |
| 5 | 1 | 8 | 7 | 3 | 2 | 9 | 4 | 6 |
| 1 | 4 | 6 | 5 | 7 | 9 | 3 | 8 | 2 |
| 8 | 9 | 2 | 6 | 1 | 3 | 7 | 5 | 4 |
| 7 | 5 | 3 | 4 | 2 | 8 | 6 | 9 | 1 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 2 | 5 | 3 | 4 | 1 | 9 | 6 | 8 |
| 6 | 9 | 1 | 5 | 2 | 8 | 7 | 4 | 3 |
| 8 | 4 | 3 | 9 | 6 | 7 | 5 | 2 | 1 |
| 5 | 3 | 9 | 4 | 1 | 2 | 8 | 7 | 6 |
| 4 | 8 | 7 | 6 | 9 | 5 | 3 | 1 | 2 |
| 1 | 6 | 2 | 8 | 7 | 3 | 4 | 5 | 9 |
| 3 | 7 | 6 | 2 | 8 | 4 | 1 | 9 | 5 |
| 2 | 5 | 4 | 1 | 3 | 9 | 6 | 8 | 7 |
| 9 | 1 | 8 | 7 | 5 | 6 | 2 | 3 | 4 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 7 | 1 | 8 | 2 | 5 | 6 | 3 | 9 |
| 3 | 5 | 9 | 1 | 7 | 6 | 8 | 2 | 4 |
| 2 | 8 | 6 | 4 | 9 | 3 | 5 | 1 | 7 |
| 1 | 9 | 4 | 2 | 6 | 8 | 7 | 5 | 3 |
| 8 | 6 | 3 | 5 | 4 | 7 | 2 | 9 | 1 |
| 7 | 2 | 5 | 3 | 1 | 9 | 4 | 8 | 6 |
| 9 | 4 | 2 | 7 | 8 | 1 | 3 | 6 | 5 |
| 6 | 3 | 8 | 9 | 5 | 4 | 1 | 7 | 2 |
| 5 | 1 | 7 | 6 | 3 | 2 | 9 | 4 | 8 |

მე-10 გვერდი: 1. გაბროვო; 2. სულთანი; 3. გალომანი; 4. ბასტილია; 5. უცებ; 6. ოტია; 7. სოლფეჯიო; 8. ლუკი; 9. აპნისი; 10. იქედნე; 11. გლოსტერი; 12. რიგვედა; 13. საწნახელი; 14. გეა; 15. ალიკანტე; 16. კვაზიმოდო; 17. არეტა; 18. ნასა; 19. სირმა; 20. რეგალია; 21. კეა; 22. იდები; 23. ჯვარი; 24. დაისი; 25. ურა; 26. წიგნი; 27. მალა; 28. ფოფოდია; 29. ომონიმი; 30. ორომი; 31. პროტოზოა; 32. ჩია; 33. ფარგალი; 34. ფანზა; 35. დივანი; 36. ალისა; 37. შველი; 38. საგა; 39. რინგი; 40. სუმო; 41. არამი; 42. გოა; 43. ფული; 44. ირაო; 45. იდიში; 46. ბადახში; 47. მუნ; 48. ალაფი; 49. არა; 50. სპა; 51. ილ; 52. ელი; 53. ფაველა; 54. ლარი; 55. ალური; 56. დომინო; 57. ლისიპე; 58. მოლა; 59. ამორალური; 60. ირიდა; 61. ალა; 62. იპონი; 63. იზიდა; 64. იორკი.

## ჩინელები პირველ ეკოქალაქს აშენებენ



ქალაქ ტიანცზინში უკვე დაიწყო ეკოლოგიურად აბსოლუტურად სუფთა ქალაქის ახალი, მასშტაბური პროექტის განხორციელება. პროექტის მიხედვით, ეს იქნება თანამეროვე ქალაქი, რომელიც 350 ათას მცხოვრებზეა გათვლილი. 30 კვადრატულ კილომეტრზე შენდება და მის დასრულებას მშენებელი კომპანია 2020 წლისთვის ვარაუდობს. პროექტის მიხედვით, ეკოქალაქი 6 რაიონად დაიყოფა. ყველა მათგანი არქიტექტურულად ფა ფუნქციურადაც ერთმანეთისგან განსხვავებული იქნება. ურბანისტული ცენტრი მაღალი შენობებით იქნება გამორჩეული, სხვა უბნებში ერთსართულიანი სახლები აშენდება. ეკოქალაქში მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიებს გამოიყენებენ — ენერგიისა და წყლის მიწოდების ალტერნატიული საშუალებები იქნება, ტრანსპორტიც მთლიანად ელექტრონული იქნება. პროექტის ავტორთა თქმით, ისინი არა მხოლოდ კომფორტული ქალაქის აშენებაზე ზრუნავენ, არამედ არქიტექტურულ და ეკოლოგიურ ოაზისზეც აცხადებენ პრეტენზიას.



1. ქალის სასიმღერო ხმა
2. მფრინავი გველეშაპი
3. ჰერმეტულ გარსში მოქცეული სადენი
4. პირისახის ქვედა ნაწილი
5. იისფერი მწვანილი
6. მეცნიერული ნაშრომის მოკლე გადმოცემა
7. მოკლე-ლულიანი მსუბუქი თოფი
8. ეკლიანი ბალახი
9. აშშ-ის შტატი
10. მოძრავი კიბე
11. ტროას უკანასკნელი დედოფალი
12. საჯარო წარმატება
13. დედალოსის ურჩი ვაჟი
14. აფრიკის ქვეყნის, გამბიის დედაქალაქი
15. ათენის საფეხბურთო კლუბი
16. ლითონის მილაკი ორივე ბოლოზე ხრახნით
17. ჰიდროტექნიკური ნაგებობა
18. ტბა თბილისის შემოგარენში
19. ხელოვნური საშენი ქვა
20. წმინდა მოგება ძიუდოში
21. ვირის და ცხენის ნაჯვარი
22. 1000 კგ
23. დიდი ზომის ქვეწარმავალი
24. ფოსო თვალის ქვეშ
25. ხისძირიანი ფეხსაცმელი
26. ახლო მონათესავე ცხოველთა შეჯვარება
27. სახოტბო ლექსი
28. ფილიპინების უდიდესი კუნძული
29. დელტაპლანის სახელწოდება ევროპაში
30. იტალიის საფეხბურთო ნაკრების კაპიტანი
31. ნერვული სისტემის ცენტრალური ნაწილი
32. ისტორიული სასახლე მადრიდთან
33. თავდავიწყებით გატაცება რაიმეთი
34. შოტლანდიური ნაგაზი
35. წმენდილი ნატეხი შაქარი
36. კედლის ჭალი
37. სამხრეთ-ამერიკული წიწვოვანი ხე
38. ქართული ყოველკვირეული ჟურნალი
39. მდინარე ციმბირში
40. მდინარე შვეიცარიის დედაქალაქში
41. ქალაქი საქართველოში, იმერეთის მხარეში
42. ესპანელი დიქტატორი
43. ზღვის დიდი ძუძუმწოვარი ცხოველი
44. სკვითების მახვილი
45. ქართული ჯგუფი
46. მამალი კვიცი
47. ქალაქი სამხრეთ ესპანეთში
48. ზღვის ნაპირის ნგრევა ტალღების ზემოქმედებით
49. მოკვეთილი კიდურის ან სხვა ორგანოს დარჩენილი ნაწილი
50. „საარჩევნო ყუთი“
51. სიმინდის ყვავილედი
52. საჯდომი ნერვის ანთება
53. წმინდა მოგება კრივში
54. მონღოლეთის ფულის ერთეული
55. პურის ნაჭრების გასახუხი მოწყობილობა
56. ოფიციალური ცნობა რაიმე საკითხზე
57. ანტილოპას სახეობა
58. სუმოისტების ტურნირი
59. სისხლის შედედებისას წარმოქ. გაუხსნელი ცილა
60. მდინარე რუსეთში
61. კორეული ავტომარკა
62. ძროხის ბარკლის ქვედა ნაწილი
63. სხვადასხვა რასის ადამიანთა შვილი
64. ნადირობის ქალღმერთი რომაულ მითოლოგიაში
65. სოფელი ქედის რაიონში
66. ფინეთის პარლამენტი
67. ძვ. საბერძნეთში: თიხის ვიწროყელიანი ორყურა დიდი ჭურჭელი სითხისათვის
68. ახალზელანდიური უფრთო ფრინველი
69. ნახევარდოლის ფორმის სარტყმ. ინსტრ.
70. სოფელი ონის რაიონში
71. ინდონეზიის კუნძული
72. აეროსტატის სარეგულაციო ტვირთი
73. ბედუინების ტრადიციული სამოსი
74. საკუთარი თავის რწმენა, სითამამე, გაბედულება
75. იაპონიის უდიდესი ტბა
76. იგივეა, რაც ალვისხე
77. მოკლე სადღეგრძელო
78. სამი წერტილი კამათელზე
79. პირისახის ძვალი
80. ბინძური თავლების პატრონი



# უნაყოფობის მიზეზი პროდუქტებია

ამერიკელმა მეცნიერებმა ის პროდუქტი გამოავლინეს, რომელთა მოხმარებაც, შესაძლოა, სუსტი სქესის წარმომადგენლებში უნაყოფობის მიზეზი გახდეს. სპეციალისტებმა გენისტეინი — მცენარის ნატურალური ესტროგენი ერთ-ერთ ძირითად ნეგატიურ კომპონენტად დაასახელეს. ეს ნივთიერება შედის სოიასა და სხვა პარკოსნების შემადგენლობაში და ვნებს ადამიანის ორგანიზმს. მრავალი წლის განმავლობაში მეცნიერები სწავლობდნენ უშვილობის მიზეზებს და ამ პერიოდში იმ პროდუქტების სიაც შეადგინეს, რომელთა მოხმარებასაც გამოუსწორებელ შედეგებამდე მივყავართ. სწავლულები აღნიშნავენ, რომ უშვილობის მიზეზი ბევრი შეიძლება იყოს, მაგრამ კვება — ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. გენისტეინის ქალის ორგანიზმში მოხვედრა იწვევს კვერცხუჯრედების მომწიფებისა და განვითარების დარღვევას.

ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
გიორგი იაშვილი, მარიკა ლომიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: +995 3222942399

ISSN 1987-8699
9 771987 869003

დაცულია საავტორო უფლებები.
რედაქციაში შემოსული
მასალები უკან არ ბრუნდება.
სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა
და ინფორმაციის სიზუსტეზე
პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის
შემთხვევაში დაგვიკავშირდით
14 დღის განმავლობაში.